

ევროკავშირის შესახებ

ეროვნული კონვენცია საქართველოში

საქართველოს საგარეო  
კომუნიკაციის სტრატეგია:

დიდი სტრატეგია და  
მორგებულ მიდგომები

კონცეფცია

დimitრი ცქიტიშვილი

პროექტის პარტნიორი: სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაცია (SFPA)  
განმახორციელებელი პარტნიორი: ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი (LMF)  
დონორი ორგანიზაცია: SLOVAKAID და ფრიდრიხ ებერტის ფონდი  
პროექტის ხანგრძლივობა: თებერვალი 2021 – აგვისტო 2022



ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი  
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPA  
Slovak Foreign Policy Association





## შინაარსი

აბსტრაქტი.....	3
შესავალი.....	3
კვლევის მეთოდები.....	4
კვლევის სტრუქტურა .....	5
საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიული ამოცანები .....	6
საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია .....	6
2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია .....	7
„ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“- სამთავრობო პროგრამა 2021-2024.....	9
საგარეო საქმეთა სამინისტროს ათწლიანი სამოქმედო გეგმა: „დასავლურ ღირებულებებსა და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა: 10 წლის ხედვა - 10 მიზანი“ .....	10
შეჯამება.....	11
2021-2022 წლების კომუნიკაციის მიზნები და საგარეო საქმეთა სამინისტროს სამოქმედო გეგმა....	12
საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი.....	15
საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის დღის წესრიგი .....	15
საქართველო-გერმანიის თანამშრომლობის დღის წესრიგი.....	18
საქართველო-საფრანგეთის თანამშრომლობის დღის წესრიგი.....	20
საქართველო-ნატოს თანამშრომლობის დღის წესრიგი.....	21
საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგი.....	22
პარტნიორი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.....	25
ამერიკის შეერთებული შტატები .....	25
გერმანია .....	27
საფრანგეთი .....	29
ნატოს პოლიტიკური დღის წესრიგი და გაფართოების პოლიტიკა .....	31
ევროკავშირის სამეზობლო და გაფართოების პოლიტიკა.....	33
დასკვნა .....	35
რეკომენდაციები.....	42
ბიბლიოგრაფია .....	45

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია გაანალიზდეს საქართველოს საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიის გამოწვევები და პრობლემური საკითხები, ასევე ამ სტრატეგიის შესაბამისობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიულ ამოცანებთან. ნაშრომში მიმოხილულია სტრატეგიული დოკუმენტები და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის კონტექსტში.

მონაცემთა ანალიზი მიუთითებს, რომ არსებობს გარკვეული აცდენა საქართველოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების დღის წესრიგის პრიორიტეტებს შორის. კვლევის შედეგად ვლინდება, რომ ქვეყნის საგარეო კომუნიკაციის სტრატეგია ეფუძნება უნივერსალურ მიდგომას და სრულად არ ითვალისწინებს ცალკეული პარტნიორების მოლოდინს, წუხილსა და ინტერესებს. შესაბამისად, კვლევის ძირითადი რეკომენდაცია ეხება საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავებას განსაკუთრებული აქცენტებით ადამიანის უფლებების დაცვაზე, კანონის უზენაესობასა და ქვეყანაში ინსტიტუციური დემოკრატიის თანმიმდევრულ განვითარებაზე, რადგან სწორედ ამ სფეროების მიმართ ვლინდება ჩვენი პარტნიორების განსაკუთრებული ინტერესი. ამავდროულად, საგარეო კომუნიკაციის სტრატეგია უნდა მოიცავდეს დეტალური ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ ინდივიდუალურ აქტორებზე მორგებულ, ტაქტიკურ კომპონენტებს, რომლებიც უკეთ მოერგება პარტნიორების მოლოდინსა და ინტერესებს.

გარდა ამისა, მიგნებებზე დაყრდნობით, კვლევის ფარგლებში შემუშავდა რიგი რეკომენდაციებისა კომუნიკაციის სტრატეგიის ეფექტიანი და ფართო ქოლგის შექმნის მიზნით, რომელიც ითვალისწინებს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგის სხვადასხვა ასპექტების. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ეხება საქართველოს თანამშრომლობას აშშ-სთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან, ევროკავშირსა და ნატოსთან, რეკომენდაციების ნაწილი შესაძლებელია განზოგადდეს და მოერგოს სხვა რეგიონებისა და ქვეყნების სპეციფიკასაც.

## შესავალი

საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე ეპოქაში სტრატეგიულმა კომუნიკაციამ კრიტიკული მნიშვნელობა შეიძინა. ინფორმაციის მრავალფეროვნება და გადატვირთული პოლიტიკური დღის წესრიგი, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის სტრატეგიული კომუნიკაციის სისტემის განვითარებისა და ქვეყნის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანი შესრულების საჭიროებას.

ისტორიულად, საერთაშორისო ურთიერთობები, ძირითადად, ტრადიციული დიპლომატიის არხებს ეყრდნობოდა, ხოლო ბეჭდური და სხვა მედია წყაროები შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა. 21-ე საუკუნეში ინფორმაციული და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, საინფორმაციო ნაკადების მრავალფეროვნებისა და განვითარების დინამიკის გათვალისწინებით, სტრატეგიული კომუნიკაცია გახდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. უკვე გადატვირთული და მრავალფეროვანი გლობალური პოლიტიკური დღის წესრიგი ახალმა გლობალურმა საფრთხეებმა, მათ შორის კოვიდ-19-ის პანდემიამ, გადაფარა. ამგვარ გარემოში კიდევ უფრო გართულდა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების გლობალურ დღის წესრიგის პრიორიტეტებში ასახვა.

დეზინფორმაცია და პროპაგანდა მნიშვნელოვან ტაქტიკურ იარაღად იქცა ამჟამინდელ პოლიტიკურ კონტექსტში. მათთან ბრძოლა სტრატეგიული მიდგომის, განსაკუთრებით კი, კარგად ჩამოყალიბებული და

ეფექტიანად განხორციელებული ყოვლისმომცველი სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმის გარეშე, უკიდურესად რთულია. მიუხედავად იმისა, რომ დეზინფორმაციის სამიზნე უმეტესწილად შიდა აუდიტორიაა, ხოლო მიზანი - შიდა სტაბილურობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტებაა, დეზინფორმაციას ასევე სერიოზული გავლენა აქვს საგარეო-პოლიტიკურ კონტექსტზეც.

ქვეყნის სტრატეგიული მიზნების პოლიტიკური პროცესებით გადაფარვის პრევენციას და საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების მიმართ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის კონსოლიდაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეფექტიანი საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიული გეგმისა და მისი განხორციელებისთვის ქმედითი სტრუქტურულ-ინსტიტუციური მექანიზმის შექმნაა.

გლობალური პოლიტიკური პროცესები მაღალი დინამიკით გამოირჩევა. ქვეყნებისა და საერთაშორისო/მთავრობათაშორისი ორგანიზაციების პოლიტიკური დღის წესრიგი კომპლექსური და მრავალგანზომილებიანია. როგორც ასეთი, საგარეო სტრატეგიული კომუნიკაციის ერთიანი და უცვლელი გეგმის შემუშავება ნებისმიერი ქვეყნისთვის რთულია. სტრატეგიის ტაქტიკური ელემენტი უნდა ერგებოდეს ცვალებად პოლიტიკურ გარემოს, მაგრამ ამავდროულად, მუდმივი და ლოგიკურად განგრძობადი უნდა იყოს საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიის ამოცანები და ცენტრალური ღერძი.

**კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელების გამოწვევების და პრობლემური საკითხების, ასევე ამ სტრატეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მის მისიასთან შესაბამისობის განაალიზებას. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ამჟამინდელი სტრატეგიის ნაკლოვანებები, მათი აღმოფხვრის საჭიროებები და განისაზღვრა ის ცვლილებები, რომლებიც საჭიროა უფრო ხელშესახები შედეგების მისაღწევად.**

კვლევა არ ისახავს მიზნად საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების სტრატეგიული ამოცანების ან მათი განახლების კრიტიკული ანალიზის. თუმცა უკრაინაში რუსეთი შეჭრამ და მიმდინარე აგრესიამ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა უსაფრთხოების როგორც რეგიონული, ისე გლობალური სისტემა და მისი ეფექტიანობა. გარდა ამისა, რუსეთის ქმედებებმა ასევე დიდი ხნით შეცვალა საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულებები რუსეთის მიმართ. ამავე დროს, რუსეთის აგრესიის შედეგად მნიშვნელოვნად იცვლება ევროატლანტიკური თანამშრომლობის კლიმატი და დასავლეთი სულ უფრო კონსოლიდირებული ხდება. ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმას მიიღებს საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი სტრუქტურა, მაგრამ უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამოცანები განახლდეს საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით ეხება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების საკითხს, რაც დასავლეთსა და რუსეთს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობების ფონზე არა რელევანტურია. ამავდროულად, დასავლეთის უპრეცედენტო კონსოლიდაცია, რომლის მსგავსიც მრავალი წელია არ ყოფილა, ქმნის ისტორიულ მომენტს და შესაძლებლობას საქართველოსათვის მისი სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად.

## კვლევის მეთოდები

კვლევის ძირითადი ცვლადების განსაზღვრის მიზნით გამოყენებულ იქნა კონტენტ ანალიზის მეთოდი. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს, ისე პარტნიორი ქვეყნებისა და მთავრობათაშორისო/საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტები, სამთავრობო პროგრამები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში მიმოხილულ იქნა აკადემიური ლიტერატურა, პოლიტიკის დოკუმენტები და სხვა ანალიტიკური წყაროები. სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემები იძლევა საშუალებას განისაზღვროს მთავარი ახსნადი ცვლადები და ამ ცვლადების თვისებრივი ანალიზის ანალიტიკურ ჩარჩოში ფარგლებში შედარებისა და შეპირისპირების საფუძველად შემუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები.

საქართველოს სტრატეგიული მიზნების კომპლექსურობისა და მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, ქვეყნის საგარეო სტრატეგიული კომუნიკაციის სამიზნე ჯგუფს თითქმის მთელი მსოფლიო წარმოადგენს. სტრატეგიული მიზნების ნაწილი ეხება ისეთ თემებს, როგორცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ან ტურისტების მოზიდვა, ხოლო ზოგიერთი ამოცანას უფრო მეტად რეგიონალური ფოკუსი გააჩნია და მიზნად ისახავს რეგიონული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფას და ა.შ. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი გულისხმობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების უზრუნველყოფას, რაც მოითხოვს სახელმწიფოს ინსტიტუტების თანამშრომლობას გაეროს თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოსთან.

სტრატეგიული ამოცანების ამგვარი მრავალფეროვნება წარმოშობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და შესაბამისი საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიის მიმართ არაორდინალური, კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი მიდგომის საჭიროებას. თუმცა, ერთი კვლევის ფარგლებში შეუძლებელია ქვეყნის საგარეო კომუნიკაციის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკვლევი საკითხების შერჩევა ქვეყნის ძირითადი სტრატეგიული ამოცანების საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს კომუნიკაციის სტრატეგიის ძირითადი გამოწვევები და პრობლემური საკითხები ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის კონტექსტში. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობასა და აგრეთვე ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციაზე. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს თანამშრომლობა ორ უმთავრეს ევროპულ ქვეყანასთან - გერმანიასა და საფრანგეთთან. სწორედ ამ ორი ქვეყნის პოზიცია დიდწილად განაპირობებს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივას, თუმცა, ორმხრივი თანამშრომლობა ამ ორ ქვეყანასთან ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ფოკუსირებულია ქვეყნებსა და მთავრობათაშორის ორგანიზაციებზე, ანგარიშის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები შესაძლებელია განზოგადდეს და მოერგოს სხვა რეგიონებისა და ქვეყნების სპეციფიკასაც.

## კვლევის სტრუქტურა

მე-2 თავში განხილულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები ქვეყნის მნიშვნელოვან ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით. მათ შორისაა: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2019-2020 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, 2020-2024 წლების სამთავრობო პროგრამა და საგარეო საქმეთა სამინისტროს 10-წლიანი სამოქმედო გეგმა. დოკუმენტების მიმოხილვის საფუძველზე კვლევა განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანების და განსაზღვრავს მათ დამოუკიდებელ ცვლადებად შემდგომი კვლევისათვის.

მე-3 თავში მიმოხილულია საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკაციის მიზნები და სამოქმედო გეგმა, რათა გამოკვლეულ იქნას თუ რამდენად არის ინტეგრირებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ამოცანები სამინისტროს ამჟამინდელ საკომუნიკაციო სტრატეგიაში და როგორია ეს სტრატეგიას.

მე-4 თავი მიმოხილავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგს შერჩეულ ქვეყნებსა (აშშ, გერმანია და საფრანგეთი) და სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებთან (ევროკავშირი და ნატო) მიმართებით, იკვლევს რამდენად არის საგარეო პოლიტიკის ამოცანები ინტეგრირებული საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიაში, და გაანალიზებულია საქართველოს პარტნიორების პრიორიტეტები და მოლოდინები საქართველოსთან დაკავშირებით.

აკადემიურ ლიტერატურის, ოფიციალურ და მედია წყაროების გამოკვლევის საფუძველზე მე-5 თავში მიმოხილულია პარტნიორი ქვეყნების, ასევე ევროკავშირისა და ნატოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. თავში განსაზღვრულია ის ძირითადი ფაქტორები, პრინციპები და აქტორები, რომლებიც

ქმნიან ამ ქვეყნებისა და ორგანიზაციების პოლიტიკის მიდგომებს საქართველოსთან თანამშრომლობის კონტექსტში.

დოკუმენტის დასკვნით თავში, წარმოდგენილია წინა თავებში დადგენილი ძირითადი ცვლადების შედარებასა და შეპირისპირებას ანალიზი. მიგნებების კრიტიკული ანალიზი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ შესაბამისობები და აცდენები საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგსა და მის მიმართ საქართველოს პარტნიორების დამოკიდებულებას შორის. ანალიზის საფუძველზე დოკუმენტის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რიგი რეკომენდაციების.

## საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიული ამოცანები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის მიზანს არ წარმოადგენს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების რევიზია. ჩვენი მიზანია შევისწავლოთ და გავაანალიზოთ საგარეო სტრატეგიული კომუნიკაციის ძირითადი გზავნილები, რომლებიც ემყარება ქვეყნის ძირითად სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და გამიზნულია ხელი შეუწყოს ამ ამოცანების განხორციელებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში განისაზღვროს ის ძირითადი ცვლადები რომელთა საფუძველზეც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მთლიანად მთავრობა ახორციელებს საგარეო პოლიტიკას და საერთაშორისო ურთიერთობებს.

კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით კვლევის ფარგლებში შესწავლილია რამდენიმე სახელმწიფო დოკუმენტი და მათი მიმოხილვის საფუძველზე განისაზღვრა ზემოთ ნახსენები ძირითადი ცვლადები.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტებია:

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წელის 23 თებერვალს)
- 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 28 მარტს)
- „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ - სამთავრობო პროგრამა 2021-2024 წლებისთვის (დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობის შემადგენლობასთან ერთად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ)
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ათწლიანი სამოქმედო გეგმა

## საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია თავისი არსითა და შინაარსით ყოვლისმომცველი დოკუმენტია, რომელიც შეეხება ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებულ გარემოებებს, რისკებსა და გამოწვევებს. ის არის ფუნდამენტური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ქვეყნის ძირითადი საგარეო პოლიტიკის დოკუმენტებიც. უსაფრთხოების კონცეფციის ფარგლებში წარმოჩენილი საკითხები, მათი სპეციფიკა და მრავალფეროვნება გვაჩვენებს, რომ მასში ასახული თითოეული გამოწვევა და რისკი მოითხოვს კოორდინირებული და შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს ფუნდამენტურ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ყალიბდება სხვა სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც ასევე წარმოდგენილი კვლევის ფარგლებშია განხილული.

კონცეფცია დამტკიცებულია 2011 წელს და გარკვეული მიმართულებით საჭიროებს გადახედვას და ადაპტირებას ახალ გარემოებებთან - როგორც გამოწვევებთან, ასევე შესაძლებლობებთან რომლებიც გამოიკვეთა ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ამჟამად სამთავრობო სტრუქტურებში მიმდინარეობს კონცეფციის განახლებულ ვერსიაზე მუშაობა. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ცვლილებები შეეხოს

ისეთ საკითხებს, როგორცაა ეროვნული ღირებულებები და ეროვნული ინტერესები. დიდი ალბათობით, შენარჩუნებული იქნება სტრატეგიული მიმართულებებიც, რომლებიც ბოლო რამდენიმე ათწლეულების განმავლობაში საქართველოს საგარეო სტრატეგიულ მიმართულებებად ჩამოყალიბდა.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად ქვეყნის ეროვნული ღირებულებებია:

- ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი
- თავისუფლება
- დემოკრატია და კანონის უზენაესობა
- უსაფრთხოება
- კეთილდღეობა
- მშვიდობა

ეროვნული ინტერესების სათავეშიც ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა დგას. ეროვნული ინტერესებს წარმოადგენს ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და განმტკიცება, უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება, ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური ზრდა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, რეგიონალური სტაბილურობა, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, კიბერ-უსაფრთხოება, სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის დაცვა, დემოგრაფიული მდგრადობა და დიასპორებთან ურთიერთობა.

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, დოკუმენტში ჩამოყალიბებულია პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებიც. მათ შორის კვლავ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტზე. შესაბამისად, ძირითადი აქცენტებია დე-ოკუპაციაზე, რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე და არაღიარების პოლიტიკაზე. დოკუმენტის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში განსაკუთრებული აქცენტებია საგარეო ურთიერთობებსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციაზე, თანამშრომლობაზე აშშ-სთან, ევროკავშირსა და ნატოს წევრ სახელმწიფოებთან.

## 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია

საგარეო პოლიტიკის სტრატეგია ეხება იმ გლობალურ გამოწვევებს, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს წინაშე დგას და თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე ჩვენი პარტნიორებისათვის. ეს გამოწვევებია ტერორიზმი, რადიკალიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი, კიბერ-უსაფრთხოება, დეზინფორმაცია და დემოკრატიული ღირებულებების დისკრედიტაციის მცდელობები, მათ შორის, რუსეთის მხრიდან და სხვა.

ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და თანმდევი საფრთხეები, ბუნებრივია, ამ დოკუმენტშიც ცენტრალურ ადგილის იკავებს. შესაბამისად, ჩამოყალიბებულია პრიორიტეტული ამოცანებიც, რომლებიც ამ საფრთხეებთან არის დაკავშირებული, მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიების არაღიარების უზრუნველყოფა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვა და ზოგადი ჰუმანიტარული მდგომარეობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, რუსეთთან დიალოგის ფორმატის შენარჩუნება და კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის პრევენცია, კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზებით მოგვარება.

საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ამ დოკუმენტის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს. დოკუმენტში ლაპარაკია ყველა იმ ფორმატზე, რომლებიც არსებობს ევროკავშირთან და ნატოსთან თანამშრომლობის მიმართულებით. თუმცა, სტრატეგიაში არ არის ყურადღება გამახვილებული იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც უკავშირდება აღნიშნულ ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანების პროცესის შეფერხებას.



როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის მიმართულებით საკითხები კონკრეტულია. ევროკავშირის კუთხით ეს არის ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ის იმპლემენტაცია, სტრატეგიული თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში, მიგრაციის და მობილობის საკითხები და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა, რომელიც საქართველომ ცალმხრივად შეიმუშავა, აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის ფორმატი და სხვა. დოკუმენტში ასევე წარმოჩენილია მზარდი პოპულიზმი და ევროსკეპტიკური განწყობები ევროკავშირში, რომელიც მნიშვნელოვანი ანგარიშგასაწევი ფაქტორია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში.

ნატოს მიმართულებით დოკუმენტი ეხება ნატო-საქართველოს კომისიის საქმიანობასა და პოლიტიკური დიალოგის გააქტიურებას, ყოველწლიური ეროვნული პროგრამის მექანიზმის გამოყენებას გაწევრიანების ხელშეწყობის მიზნით, არსებით პაკეტს, როგორც თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარ ინსტრუმენტს, შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში საქართველოს განსაკუთრებულ როლს, საქართველოს მონაწილეობას ნატოს საერთაშორისო მისიებში, ნატოს წვრთნებში მონაწილეობას. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია ნატოს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობა გაწევრიანების საკითხზე კონსენსუსის მიღწევის მიზნით.

დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის შიგნით დემოკრატიულ კონსოლიდაციაზე, ინსტიტუტების შემდგომ გაძლიერებასა და საქართველოს რეგიონალური ლიდერის როლის დამკვიდრებაზე. მიჩნეულია, რომ საქართველომ, როგორც ევროპულმა დემოკრატამ, მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს მშვიდობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების საქმეში, როგორც გლობალური, ისე რეგიონული მასშტაბით.

ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობებიც ამ დოკუმენტში წარმოდგენილია, როგორც საგარეო პოლიტიკის წარმოების მნიშვნელოვანი პლატფორმა. მასში ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა რეგიონული ეკონომიკური პროექტების განხორციელება, მათ შორის, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჰაბის სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საინვესტიციო, საკომუნიკაციო და ენერგეტიკული პროექტების რეალიზება, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანასთან, როგორც ინვესტიციების მოზიდვის დამატებითი საშუალება და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების მეშვეობით რეგიონალური ჰაბის იდეის რეალიზება.

დეტალურად არის წარმოდგენილი დოკუმენტში პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სტრატეგიული თანამშრომლობა აშშ-სთან უკვე მრავალ წელს ითვლის, და შესაბამისად თანამშრომლობის საკითხები კარგად სტრუქტურირებულია. თანამშრომლობის სფეროები მოიცავს თავდაცვას და უშიშროებას, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მხარდაჭერას აშშ-ის მხრიდან, საქართველოს დემოკრატიული რეფორმებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობას და სხვა.

გერმანიასა და საფრანგეთთან თანამშრომლობის მიმართულება დოკუმენტში ზოგადად არის წარმოდგენილი და ძირითადად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ამ ქვეყნების მხრიდან მხარდაჭერის მოპოვებაზეა ორიენტირებული. დოკუმენტი ხაზს უსვამს გერმანიასა და საფრანგეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურების მნიშვნელობას და ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობას.

სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში საქართველოს წვლილის მნიშვნელობაზე, მათ შორის, ნატოს საერთაშორისო მისიებში საქართველოს მონაწილეობაზე.

დოკუმენტი ეხება გლობალური დღის წესრიგის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლა, მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება და გარემოს დაცვა და ამ გლობალური დღის წესრიგის საკითხების დაძლევაში საქართველოს როლის გააქტიურება.

საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანებს შორის არის ეკონომიკური დიპლომატიაც და ამ კუთხით ორმხრივი და მრავალმხრივი მიმართულებებით მუშაობის გააქტიურების აუცილებლობა. მათ შორის, მუშაობა პარტნიორი ქვეყნების კერძო სექტორთან, საქართველოს, როგორც ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყნის წარმოჩენა, ეკონომიკური ატაშეს ინსტიტუტის გაძლიერება და ქართული ბიზნესის ლობირება. დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობის, სტრატეგიული მდებარეობისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის რეალიზება საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული კომუნიკაცია არის წარმოდგენილი, როგორც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება და გულისხმობს რამდენიმე კომპონენტს. მათ შორის: საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება საზღვარგარეთ, ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ, მზარდი ანტი-დასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია, სახალხო დიპლომატიის გამოყენება და სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა.

სტრატეგია ხაზს უსვამს ერთიანი სამთავრობო მიდგომის აუცილებლობას საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობას.

## „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“- სამთავრობო პროგრამა 2021-2024

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი სამთავრობო შემადგენლობა და მასთან ერთად სამთავრობო პროგრამა, რომელიც ასახავს მოქმედი მმართველი გუნდის შეხედულებებსა და პოზიციებს. კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება მხოლოდ სამთავრობო პროგრამის ერთ ნაწილზე, რომელიც საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებას ეხება.

სამთავრობო პროგრამის მიხედვით, 2021-2024 წლების უმთავრეს პრიორიტეტად წარმოდგენილია ევროპული ტიპის სახელმწიფოს მშენებლობა. სწორედ ამ ცენტრალური ღერძის ირგვლივ არის გაშლილი პროგრამული მსჯელობა სხვადასხვა, მათ შორის, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მიმართულებითაც.

სამთავრობო ხედვის ნაწილშიც ხაზგასმულია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიმართულება და შესაბამისად, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ასევე ადამიანის უფლებებისა და ინსტიტუციური გაძლიერების საკითხები მოქცეულია საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივის კონტექსტში. პროგრამის განსაკუთრებული ნიშნულია 2024 წლისთვის ევროკავშირის წევრობის ოფიციალური განაცხადის გაკეთება (რაც საბოლოოდ 2022 წლის მარტში განხორციელდა). ევროკავშირთან სავაჭრო, ეკონომიკური, სატრანსპორტო, ენერგეტიკულ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავება წარმოდგენილია დოკუმენტში, როგორც უმთავრესი პოლიტიკური ამოცანის - ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელი წინაპირობა.

დოკუმენტის მიხედვით, მთავრობა მოწოდებულია უზრუნველყოს ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკით, ასოცირების შეთანხმებით და DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტური იმპლემენტაცია, ევროპის ერთიან ბაზარში ქვეყნის ინტეგრაცია, გააღრმავოს ევროკავშირთან თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკური, ენერგეტიკული, საკომუნიკაციო და სხვა სფეროებში, გააძლიეროს საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია და შექმნას ეკონომიკური შესაძლებლობები ევროკავშირისათვის.

სამთავრობო პროგრამა ყურადღებას უთმობს ისეთ საკითხებს, როგორცაა: დე-ოკუპაცია და საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, დიალოგის ფორმატის შენარჩუნება რუსეთთან, ადამიანის უფლებებისა დაცვა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთო ჰუმანიტარული მდგომარეობა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება.

პროგრამა ასევე ეხება საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს და ამ კონტექსტში საუბარია შავი ზღვის უსაფრთხოების იდეის განვითარებაზე და საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი და სანდო პარტნიორის განსაკუთრებულ როლზე ამ პროცესში. მთავრობას დაგეგმილი აქვს შეიმუშაოს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული სტრატეგია.

პროგრამის მიხედვით, მთავრობა გეგმავს აშშ-სთან თანამშრომლობის გაღრმავებას სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში, უსაფრთხოების, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, დეოკუპაციისა და არაღიარების პოლიტიკისა და სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებებით. ასევე, საქართველოს მთავრობას განსაზღვრული აქვს გააგრძელოს ინტენსიური მუშაობა აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებითაც. მთავრობა აღიარებს აშშ-ის როლს ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების პროცესში, ასევე მისი მხარდაჭერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში.

სამთავრობო პროგრამა საკმაოდ მოკრძალებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამა შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი განცხადებებით, რომლებიც ეხება პარტნიორ ევროპულ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და ამ ურთიერთობების სტრატეგიული თანამშრომლობის დონეზე აყვანის აუცილებლობას.

## საგარეო საქმეთა სამინისტროს ათწლიანი სამოქმედო გეგმა: „დასავლურ ღირებულებებსა და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა: 10 წლის ხედვა - 10 მიზანი“

2021 წლის 9 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარადგინა ათწლიანი სამოქმედო გეგმა, სახელწოდებით, „დასავლურ ღირებულებებსა და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა: 10 წლის ხედვა - 10 მიზანი“. გეგმა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, განსაზღვრავს სამომავლო საქმიანობის შემდეგ ათ ძირითად მიმართულებას:

- ხელშესახები პროგრესის მიღწევა საქართველოს სუვერენიტეტის გამტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით;
- 2024 წლისთვის ევროკავშირში წევრობაზე განაცხადის შეტანა, ხოლო შემდგომ, 2030 წლამდე, წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვება;
- ალიანსთან ერთად შემუშავებული გეგმის მიხედვით საქართველოს ნატოში საბოლოო გაწევრიანების უზრუნველყოფა 2030 წლისთვის;
- მეგობარ სახელმწიფოებთან, მათ შორის, ევროკავშირის წევრებთან, დიდ ბრიტანეთთან, ევროკავშირთან, უკრაინასთან და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან არსებული მაღალი დონის ორმხრივი ურთიერთობების სტრატეგიულ ფორმატებამდე აყვანა;
- აშშ-საქართველოს შორის არსებული მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველზე ქვეყნებს შორის სამოკავშირეო ურთიერთობების გაძლიერება სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური კომპონენტებით;
- დაბალანსებული და ურთიერთ სასარგებლო პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნება რეგიონის სახელმწიფოებთან;
- რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დაცვის პრინციპების საფუძველზე დეოკუპაციისა და და კონფლიქტის დარეგულირების რეალური პროცესის დაწყება;

- ევროკავშირთან დაკავშირებადობის დიალოგის დაწყება და ამ კუთხით რეგიონში საქართველოს ლიდერად ქცევა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელი ფუნქციის დამკვიდრებით;
- ფართომასშტაბიანი ეკონომიკური პროექტების განხორციელება აქტიური ეკონომიკური დიპლომატიის, ინვესტიციების მოზიდვის, ქართული პროდუქციისთვის ექსპორტის ხელშეწყობა;
- დიასპორის გაძლიერება და საზღვარგარეთ ძლიერი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების ხელშეწყობა.

ათწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს, თუმცა მასში განსაზღვრულია დამატებითი საშუალო ვადიანი ამოცანები და ნიშნულები იმ საკითხებში, რომლებიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლადებს საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიის განვითარებისთვის.

ევროკავშირში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით, რაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო ამოცანას წარმოადგენს, გეგმა განსაზღვრავს დამატებით ნიშნულებს. ერთ-ერთი ასეთი ნიშნულია 2024 წლისთვის ევროკავშირში განაცხადის წარდგენა და 2030 წლისთვის კანდიდატის სტატუსის მოპოვება. გეგმა ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებაზე და განსაზღვრავს მნიშვნელოვან ამოცანას, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული „გაჯანსაღება, მედეგობა და რეფორმების“ სახელით ცნობილი საინვესტიციო გეგმის განხორციელებას. პროექტი მიზნად ისახავს 3.9 მილიარდი ევროს საინვესტიციო რესურსის კონსოლიდაციას ქვეყანაში მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებისთვის.

გეგმის მიზანია აშშ-სთან თანამშრომლობის გაფართოება და გაძლიერება ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კი, უსაფრთხოების, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებში. გეგმით განსაზღვრულია ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება, როგორცაა 2030 წლისთვის საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმება. თუმცა, გეგმაში გათვალისწინებული არ არის ორმხრივი თანამშრომლობის ისეთი საკითხები, როგორებიცაა დემოკრატიულ რეფორმები, ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა ან სასამართლო სისტემის რეფორმა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნატოში 2030 წლისთვის გაწევრიანება გეგმის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს, მასში არ არის ნახსენები ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელთა მეშვეობითაც უნდა აღმოიფხვრას ნატოს წევრობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები.

ეკონომიკური დიპლომატიის განვითარების მიმართულებით სამოქმედო გეგმა ძირითადად ეხება მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებასა და ინვესტიციების მოზიდვას. ნახსენებია რამდენიმე კონკრეტული პროექტი, რომლებიც უნდა დაიწყოს და განხორციელდეს 2030 წლისთვის.

ათწლიანი სამოქმედო გეგმა არ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი კონკრეტული ნაბიჯები და აქტივობები. ამჟამად მას მხოლოდ საჯარო პრეზენტაციის ფორმა აქვს, რომელშიც მოცემულია გეგმის ძირითადი ელემენტები. სამოქმედო გეგმის სახელწოდებაში ხაზგასმულია დასავლური ფასეულობები, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხორციელების საფუძველი, თუმცა გეგმის შინაარსში ნაკლები ყურადღება ეთმობა იმ საკითხებს, რომლებიც ეხება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას.

## შეჯამება

ამ თავში განხილულია ის ძირითადი სახელმწიფო დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს და შემდგომ აყალიბებს საქართველოს ძირითად საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებს და საქმიანობის მიმართულებებს. როგორც მიმოხილვიდან ჩანს, დოკუმენტები ძირითადად ერთმანეთთან თანხვედრაშია.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა ლექსიკაში თუ ცალკეული საკითხების იერარქიაში, დოკუმენტებში ნათლად არის ჩამოყალიბებული პრიორიტეტები და სტრატეგიული ამოცანები, რომლებსაც ეყრდნობა ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობები.

შემდგომი ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიული ამოცანების კიდევ ერთხელ ხაზგასმა:

- ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი
- ქვეყნის დე-ოკუპაცია და საქართველოს ტერიტორიების არაღიარება
- რუსეთთან დიალოგის ფორმატის შენარჩუნება და შესაძლო ესკალაციის პრევენცია
- საქართველოს ნატოში გაწევრიანება
- ევროკავშირში გაწევრიანება / განაცხადის წარდგენა 2024 წლისთვის / კანდიდატის სტატუსი მიღება 2030 წლისთვის
- თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებთან
- საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების წარმოჩენა და რეგიონალური ჰაბისა და სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის რეალიზაცია / ევროკავშირის საინვესტიციო გეგმის „გაჯანსაღება, მედეგობა და რეფორმები“ რეალიზება
- საქართველოს დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოს იმიჯის შექმნა

უკრაინაში რუსეთის აგრესიამ გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობების არსებულ სისტემაზე და დაგვანახა რომ საჭიროა საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტების განახლება, განსაკუთრებით, რუსეთთან დიალოგის საკითხთან დაკავშირებით, რაც არსებული კონტექსტიდან გამომდინარე, ვეღარ განიხილება პრაგმატულ მიდგომად შესაძლო ესკალაციის პრევენციისათვის. საქართველოს ევროინტეგრაციის ახალი დინამიკა ასევე უნდა აისახოს სტრატეგიულ დოკუმენტებში იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანამ უკვე წარადგინა განაცხადი და მიიღო კიდევ ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივა. შესაბამისად დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე საგარეო პოლიტიკური ამოცანების მოდიფიცირება უნდა მოხდეს კანდიდატის სტატუსის მოპოვებისა და შემდგომი გაწევრიანების გეგმის მოპოვებაზე განსაკუთრებული აქცენტით.

გეოპოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად წინამდებარე კვლევის ცვლადები არ შეცვლილა და ეფუძნება არსებულ დოკუმენტებს. თუმცა, კვლევის ანალიტიკურ ნაწილში გათვალისწინებულია არსებული ვითარება და საერთაშორისო გარემოში მიმდინარე ცვლილებები.

## 2021-2022 წლების კომუნიკაციის მიზნები და საგარეო საქმეთა სამინისტროს სამოქმედო გეგმა

საგარეო საქმეთა სამინისტროს საკომუნიკაციო გეგმა ემყარება ზემოთ განხილულ დოკუმენტებს. კვლევის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი საკომუნიკაციო მასალების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი კავშირი, როგორც ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახულ საკითხებთან, ისე შესაბამისობა შემდგომ თავებში განხილული ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მოლოდინთან.

საგარეო საქმეთა სამინისტრო 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შესაბამისად აყალიბებს სამოქმედო გეგმას, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს საელჩოები და მისიები. სამინისტრომ განსაზღვრა ზოგადი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ცალკეულმა საელჩოებმა და მისიებმა უნდა შეიმუშაონ აქტივობების გეგმა. ამ გეგმების ერთობლიობით ყალიბდება ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია.

საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს შვიდ მიმართულებას, რომლებიც სინქრონულია სტრატეგიულ ამოცანებთან და თითოეული მიმართულება გულისხმობს ცალკეული კამპანიის წარმართვას.

ეს მიმართულებებია:

- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია
- საქართველოს ნატოში ინტეგრაცია
- დე-ოკუპაცია, რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო
- საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობები
- საქართველო - თანამედროვე ევროპული ქვეყანა
- ტურიზმი, კულტურული მრავალფეროვნება, ქართული ღვინო და სამზარეულო
- საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავი (ეს კამპანია, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არის დროებითი და, შესაბამისად, არ მოხვდა ჩვენს კვლევაში).

საკომუნიკაციო გეგმა ერთიან მიდგომას აყალიბებს, ხოლო ცალკეული ქვეყნების სპეციფიკა უკვე უნდა იყოს ასახული საელჩოების მიერ შემუშავებულ საკომუნიკაციო გეგმებსა და აქტივობებში. დოკუმენტში ნახსენებია საქართველოს სტრატეგიული მიზნების მიმართ (როგორცაა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება) სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნები, თუმცა მათთან მიმართებით განსხვავებული მიდგომები ან განსხვავებული აქტივობები არ იკვეთება, გარდა ჩანაწერისა, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყნებში საქმიანობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სამინისტროს აქვს განსაზღვრული სამიზნე აუდიტორიაც, რომელიც ასევე უნივერსალურია ყველა ქვეყნის მიმართ, ქვეყნის სიდიდისა და საქართველოსთვის მისი მნიშვნელობის მიუხედავად. სამიზნე ჯგუფებს შორის არიან: მედია და ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური წრეები და კვლევითი ორგანიზაციები, გავლენიან პირები, საპარლამენტო ჯგუფები და დიასპორები.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების კამპანიის ძირითადი გზავნილია 2024 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის განაცხადის გაკეთება, შესაბამისად, ყველა იმ პოზიტიური პროცესის წარმოჩენა, რომელიც უკავშირდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობას. მათ შორის, ასოცირების ხელშეკრულება და ასოცირების დღის წესრიგის ეფექტური განხორციელება, საქართველოს განსაკუთრებული როლი აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, საქართველოს დემოკრატიული რეფორმები, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები, სატრანზიტო და რეგიონული ჰაბის ფუნქცია ევროკავშირისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს წვლილი. ამასთან, კამპანიის ფარგლებში ნაგულისხმევია საქართველოს, როგორც ევროპული ტიპის ქვეყნის და მისი, როგორც ძველი ევროპული ცივილიზაციის ქვეყნის წარმოჩენა. გარდა ამისა, დოკუმენტში საუბარია საქართველოს მნიშვნელობის წარმოჩენაზე ევროკავშირისა და წევრი ქვეყნებისთვის, თუმცა ნათლად არ არის ნათქვამი, თუ რა არის საქართველოს მნიშვნელობა ევროკავშირისთვის.

საქართველოს ნატოში გაწევრიანების კამპანიის ფარგლებში ძირითადი გზავნილები ისევე, როგორც ევროკავშირის შემთხვევაში, ორიენტირებულია საქართველოს, როგორც ასპირანტი ქვეყნის, წარმატებებსა და აქტიურ მონაწილეობაზე ნატოს სხვადასხვა პროგრამასა და თანამშრომლობის ფორმატში, საქართველოს, როგორც სანდო პარტნიორის წარმოჩენაზე, ქვეყნის დემოკრატიული რეფორმებისა და დემოკრატიული ფასეულობების მიმართ ერთგულებაზე, საქართველოს როლზე გლობალური უსაფრთხოების საკითხებში და მონაწილეობაზე ნატოს ეგიდით განხორციელებულ მისიებში, საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებასა და ნატოს სტანდარტებთან დაახლოებაზე, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაზე, შავი ზღვის უსაფრთხოებასა და საქართველოს განსაკუთრებულ როლზე ამ რეგიონში, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებაზე, საქართველოს, როგორც უსაფრთხოების სანდო და საიმედო რეგიონული ჰაბის იმიჯსა და მის ლოჯისტიკურ, ეკონომიკურ და სატრანზიტო შესაძლებლობებზე.

ნატოში გაწევრიანების კამპანიის ფარგლებშიც ერთ-ერთი გზავნილი საქართველოს გაწევრიანებით ალიანსისთვის მიღებული შესაძლო სარგებელია, თუმცა არც ამ შემთხვევაშია დაკონკრეტებული, რა იგულისხმება ამ სარგებელში.

როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის შემთხვევაში, დოკუმენტში ხაზგასმულია კამპანიის ფარგლებში ეგრეთ წოდებულ სკეპტიკურ ქვეყნებთან განსაკუთრებული აქცენტების საჭიროება. თუმცა, რაიმე ნიშანდობლივი ტაქტიკური განსხვავებები ამ მიმართულებით დოკუმენტებში ასახული არ არის.

გზავნილები ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხებზე უნივერსალურია და ერთიანი სტრატეგიის ფორმატშია წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის ასახული ცალკეული ქვეყნების ინტერესებზე და პოზიციებზე დაფუძნებული სპეციფიკური ტაქტიკური განსხვავებები, როგორც სკეპტიკურად განწყობილი, ისე მხარდამჭერი ქვეყნების მიმართ.

დოკუმენტში ყურადღება ეთმობა რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და დე-ოკუპაციის საკითხებს. ძირითადი აქცენტები ამ მიმართულებით გაკეთებულია ოკუპაციასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე, მათ შორის: ოკუპაცია, როგორც რეგიონალური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, კონფლიქტის მოგვარების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა (აშშ, ევროკავშირი), ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა და ზოგადი ჰუმანიტარული მდგომარეობა, დევნილთა პრობლემატიკა, საქართველოს მდგრადი დემოკრატიული განვითარების ხელშეშლა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გზით, დემოკრატიული ფასეულობების მოშლის და დისკრედიტაციის მცდელობები, ჰიბრიდული ომი. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა და აფხაზეთან და ოსებთან შერიგების საკითხები.

საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების კამპანიის ფარგლებში დოკუმენტის ძირითადი გზავნილია საქართველოს, როგორც სტაბილური და განვითარებული ქვეყნის, მისი საინვესტიციო, საექსპორტო, ბიზნესის და სატრანზიტო პოტენციალის წარმოჩენა, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ჰაბისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების პოტენციალის მქონე ქვეყნის პოპულარიზაცია, საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებისა და ეკონომიკურ რეფორმებში ქვეყნის წარმატებების და საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის მოწინავე პოზიციების დემონსტრირება.

გზავნილები ეკონომიკური კამპანიის ფარგლებშიც უმეტესწილად უნივერსალურია ქვეყნების მიმართ და ნაკლებად არის ასახული ცალკეული სახელმწიფოების შესაძლო ინტერესები. დოკუმენტებიდან მნელია დაინახო რაიმე მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ინფრასტრუქტურული ან საინვესტიციო პროექტები, რომელთა რეალიზებაც ხელსაყრელია როგორც საქართველოს, ისე მისი პარტნიორი ქვეყნებისათვის.

თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ საქართველოს პოზიციონირების კამპანიის ძირითადი გზავნილი ეხება ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელობას. გზავნილები ძირითადად ეხება საქართველოს წარმატებულ მონაწილეობას სამეცნიერო და კულტურულ პროგრამებში და პროექტებში, მაგრამ დოკუმენტში ნაკლებად გვხვდება ევროპული დემოკრატიისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა.

ტურიზმისა და კულტურული მრავალფეროვნების კამპანიის მიმართულებით დოკუმენტი უმეტესად ორიენტირებულია საქართველოს საინტერესო და უნიკალური კულტურის პოპულარიზაციაზე და ძირითად ამოცანად ისახავს ტურისტების მოზიდვას. აქცენტები კეთდება ღვინოზე, სამზარეულოზე, ისტორიულ წარსულზე. საკითხი არ არის საგარეო-პოლიტიკურ კონტექსტში ჩასმული და მარკეტინგული პერსპექტივიდან არის წარმოდგენილი.

## საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი

წინამდებარე თავში მიმოხილულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში განხილული სტრატეგიული დოკუმენტებიდან და იმავდროულად ეფუძნება რეალურ პოლიტიკურ პროცესებს. გარდა ამისა, დოკუმენტის ეს ნაწილი ეხება საქართველოს პარტნიორების პოლიტიკურ პრიორიტეტებს და მათ მოლოდინებს საქართველოს მიმართ.

კვლევის ფარგლებში სხვადასხვა წყაროთი, მათ შორის, ოფიციალური არხებით, აკადემიური ლიტერატურითა და მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის ანალიზისთვის გამოყენებულია როგორც დისკურსის, ასევე კონტენტ ანალიზის მეთოდები. კვლევაში აქცენტი გაკეთებულია ოფიციალური შეხვედრებისას გაჟღერებულ ძირითად გზავნილებსა და საქართველოს, ასევე მისი პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ წარმოებულ კომუნიკაციის სხვა ფორმებზე. ძირითადი ტენდენციების ანალიზის მიხედვით გამოვლინდა ის საკითხები, რომლებიც ქმნიან მხარეებს შორის კომუნიკაციის საფუძველს. კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ხელისუფლება და როგორია ამ საკითხებთან დაკავშირებით პარტნიორების რეაგირება და მიმდებლობა.

### საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის დღის წესრიგი

ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თვისებრივად გამორჩეულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში. აშშ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან და ეს მხარდაჭერა დღესაც გრძელდება. თანამშრომლობა მხარეების მიერ ფასდება, როგორც სტრატეგიული პარტნიორობა და განსაკუთრებული პრიორიტეტულობით ხასიათდება.

სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარების განსაკუთრებული ეტაპის დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ 2009 წელი, როდესაც საქართველოსა და აშშ-ს შორის ხელი მოეწერა სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიას და მის საფუძველზე ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა უფრო სტრუქტურირებული და სისტემატიზებული გახდა. ქარტიის ფარგლებში ჩამოყალიბდა სტრატეგიული პარტნიორობის კომისია და განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები, მათ შორის: დემოკრატია, თავდაცვა და უსაფრთხოება, ვაჭრობა და ეკონომიკა, ხალხთა შორის კონტაქტები და კულტურის სფეროში თანამშრომლობა. ქარტიის ფარგლებში გამოყოფილია ასევე თანამშრომლობის ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება როგორც ორმხრივ ურთიერთობებს, ისე საქართველოს საგარეო მისწრაფებების რეალიზებაში აშშ-ის მხარდაჭერას, გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ ერთობლივ ქმედებებს და მჭიდრო თანამშრომლობას.

იმისათვის, რომ დადგინეს ის საკითხები რომლებზეც ორივე ქვეყანა განსაკუთრებული აქცენტებს კეთებს და წარმოადგენს თანამშრომლობის დღის წესრიგს, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა მაღალი დონის შეხვედრებისას მხარეთა წარმომადგენლების მიერ გაჟღერებული საკითხები 2014 წლიდან დღემდე. აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი ხასიათდება შეხვედრების მაღალი დინამიკით. განხორციელდა სხვადასხვა დონის ვიზიტი აშშ-ის მხრიდან, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის ვიზიტები თბილისში. ანალოგიურად მაღალი დონის ვიზიტები განხორციელდა საქართველოს მხრიდანაც, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრები გაიმართა აშშ-ს მაღალი რანგის პირებთან.



როგორც აღინიშნა, თანამშრომლობის დღის წესრიგი უმეტესად ეფუძნება ქარტიის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს, თუმცა მათ შორისაც იკვეთება კონკრეტული საკითხები, რომელზეც ერთი ან მეორე მხარე ამხვილებს ყურადღებას. უმეტესად აქცენტების თანხვედრაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არის განსხვავებული მიდგომებიც.

საქართველო-აშშ-ს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა აყალიბებს ყველა შეხვედრის ჩარჩოს. როგორც საქართველო, ისე აშშ ხაზს უსვამს ამ პარტნიორობის მნიშვნელობას. ერთი მხრივ, ეს თანამშრომლობა არის საქართველოსთვის, ფართო გაგებით, სახელმწიფოებრიობის გარანტი, ხოლო აშშ-ისთვის კი ეს არის თანამშრომლობა სანდო, ერთვულ და სტაბილურ პარტნიორთან რეგიონში და რომელსაც განიხილავს რეგიონში მთავარ მოკავშირედ. შესაბამისად, შეხვედრების დღის წესრიგში მუდმივად არის ხაზგასმული, როგორც ეს პარტნიორობა, ასევე ამ პარტნიორობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების აუცილებლობა და მნიშვნელობა.

საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა სარგებლობს ორპარტიული მხარდაჭერით აშშ-ში. კონგრესში ეს მხარდაჭერა არაერთხელ გამოიხატა შესაბამისი განცხადებებით თუ მიღებული ნორმატიული აქტებით. სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობა არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ თეთრი სახლის არც ერთი ადმინისტრაციის პირობებში, თუმცა განსხვავებები რეგიონული პრიორიტეტების თვალსაზრისით ნამდვილად არსებობდა ამ წლების განმავლობაში. ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა დეკლარირებულად მხარდაჭერილია საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის მიერ, რაც დაფიქსირებულია როგორც პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებებში, ისე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციებში (Resolution of the Parliament of Georgia on the Foreign Policy of Georgia, 2016).

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი უპირობო მხარდაჭერით სარგებლობს აშშ-ის მხრიდან, რომელიც ყველა შესაძლო შემთხვევაში და ყველა დონეზე აკეთებს მხარდამჭერ განცხადებებს. აშშ მუდმივად და უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს რუსეთის აგრესიის, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ოკუპაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჰუმანიტარულ საკითხებში. აშშ-ის ოფიციალური ენა ძალზედ კონკრეტულია და მკაცრი რუსეთის ქმედებების შეფასებებში. აშშ პოზიტიურად აფასებს საქართველოს თავშეკავებულ პოლიტიკას რუსეთის პროვოკაციულ ქმედებებზე და მხარს უჭერს საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკას და ურთიერთობების დალაგების მცდელობას აფხაზეთთან და ოსებთან. ბოლო წლების განმავლობაში აშშ-ის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთის მიერ წარმოებულ დეზინფორმაციასა და პროპაგანდას, როგორც ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლას და საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებას ამ თვალსაზრისით (U.S. House Passes Bipartisan Georgia Support Act, 2019).

საქართველოს თავდაცვითი და უსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერება ორივე მხარის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს და ამ მიმართულებით ხელშესახები შედეგებიც მიღწეულია. ეს საკითხი ყველა მაღალი დონის შეხვედრის დღის წესრიგის პრიორიტეტებს შორისაა და გამყარებულია ორმხრივი შეთანხმებით უსაფრთხოების სფეროში, რომელიც ცოტა ხნის წინ გახანგრძლივდა კიდევ ექვსი წლით (Mitchell, 2021).

მაღალი პრიორიტეტულობით გამოირჩევა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი. აშშ-ს, როგორც გაწევრიანების მთავარი ლობისტი და წევრობისათვის აუცილებელი სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური რეფორმების მთავარი მხარდამჭერი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ საკითხში. საქართველოსაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნატოს ეგიდით წარმართულ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, საკუთარი სამხედრო კონტინგენტის ჩართულობით, რაც პარტნიორების, მათ შორის, აშშ-ისა და ნატოს მაძლიერებასაც იმსახურებს.

აშშ მკაფიო მხარდაჭერას გამოხატავს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიმართაც და საქართველოს ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციის საკითხს განიხილავს, როგორც საქართველოს

ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესის, რომელიც მოიაზრებს ახა მხოლოდ ორგანიზაციებში წევრობას, არამედ საქართველოს დასავლურ დემოკრატიულ თანამეგობრობაში ინტეგრაციასაც.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ქართის ფარგლებში თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა, თუმცა პოლიტიკური დღის წესრიგი უმეტესად ზოგადი განცხადებებითა და ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით შემოიფარგლება. საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებაზე. აშშ-ის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ამ მიმართულებით მკაფიო გზავნილი არ გაუდრეხულა, თუმცა არც კატეგორიული წინააღმდეგობა დაფიქსირებულა საჯაროდ. საკითხი სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიაშია, როგორც თანამშრომლობის სამომავლო საკითხი. ხელშეკრულების გაფორმებას მხარს უჭერს აშშ-ის საკანონმდებლო ორგანო საქართველოს მხარდამჭერი ორპარტიული რეზოლუციითა (2018 წ.) და საქართველოს მხარდამჭერი აქტით (2019 წ.). აშშ საკუთარი ეკონომიკური აქტივობის და ინვესტიციების ზრდას უკავშირებს საქართველოში ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს და, განსაკუთრებით, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას (Georgian Prime Minister, U.S. Secretary of State Hold Phone Talk, 2020).

აშშ ინტერესს გამოთქვამდა აბრეშუმის გზის გლობალური პროექტის მიმართ და 2015 წელს საქართველოში მასშტაბური ეკონომიკური ფორუმის - „აბრეშუმის გზის ფორუმის“ გამართვას პოზიტიური შეფასებებიც მოჰყვა (Georgian FM Meets U.S. Deputy State Secretary, 2015), თუმცა აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის პოზიცია ამ გლობალური პროექტის მიმართ, რომელიც დღეს უკვე „Belt and Road Initiative“ სახელითაა ცნობილი, ძალზე კრიტიკულია (Wintour, 2021).

ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში ქართული მხარე განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებდა ანაკლიის პორტის მშენებლობაზე და მასში ამერიკული კომპანიების ჩართულობის აუცილებლობაზე. აშშ-ის მხრიდან პროექტს პოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდა. ამერიკაში მიიჩნევენ, რომ ანაკლიის პორტის პროექტი შესაძლებლობას მისცემდა საქართველოს თავი დაედგინა ჩინეთისა და რუსეთის ეკონომიკური გავლენებისგან (Secretary Mike Pompeo Reaffirms Strategic Partnership in Meeting PM Bakhtadze, 2019). თუმცა, ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო საკითხის ფორმატი შეიცვალა საქართველოს მხრიდან და ამ პროექტის მომავალი, ისევე, როგორც მასში ამერიკული კომპანიების შესაძლო მონაწილეობა, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები მუდმივად ექცევა საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის დღის წესრიგში და ამავედროულად, ასახულია სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიაშიც. აშშ არის საქართველოს დემოკრატიული რეფორმების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი და ამ მხარდაჭერას იგი უკავშირებს საერთო დემოკრატიულ ღირებულებებს, საქართველოს, როგორც დემოკრატიული რეფორმების ლიდერის განსაკუთრებულ როლს რეგიონში, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. დემოკრატიულ რეფორმები, როგორც ორმხრივი თანამშრომლობის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი, მუდმივად ფიგურირებს დღის წესრიგში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პოლიტიკური გუნდია აშშ-ის ხელისუფლების სათავეში. აქცენტები ცალკეულ საკითხებზე დაკავშირებულია შიდა პოლიტიკურ ვითარებასთან საქართველოში. საქართველოში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის საკითხი მუდმივად იწვევს აშშ-ის ხელმძღვანელობის ინტერესს. ბოლო რამდენიმე წელია აშშ-ის შეფასებები სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების შესახებ მზარდი კრიტიკულობით გამოირჩევა. განსაკუთრებით მწვავე იყო ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადება (Recent Judicial Appointments in Georgia, 2021).

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ, კიდევ უფრო ნათელი გახადა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები და საკითხი ექცევა აშშ-ს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. აშშ-ს კონგრესში ინიცირებულია ორპარტიული აქტი, რომელიც მოუწოდებს აშშ-ს ადმინისტრაციას უფრო აქტიური პოლიტიკა განახორციელოს და თავდაცვის და უსაფრთხოების მექანიზმებთან ერთად გააძლიეროს ეკონომიკური თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან, ნატოსა და ევროკავშირის მონაწილეობით.

ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა, მედია პლურალიზმი და მრავალპარტიული დემოკრატიის გაძლიერება, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნები ასევე ექცევა ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგში. პირველ ეტაპზე ამ მიმართულებით პოზიტიური გზავნილები და მიმდინარე რეფორმების პოზიტიური შეფასებები აშშ-ის მხრიდან, თანდათან ჩანაცვლდა მზარდი კრიტიკით და უკმაყოფილებით.

## საქართველო-გერმანიის თანამშრომლობის დღის წესრიგი

კვლევების ინტერესის სფეროში საქართველოსა და გერმანიის შორის ბოლო წლებში არსებული ურთიერთობების დინამიკა ექცევა და, შესაბამისად, კვლევის ფარგლებში სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით განისაზღვრა ის საკითხები, რომლებსაც ძირითადი ყურადღება ექცევა უმაღლესი დონის შეხვედრებისას. მოკვლევული და შესწავლილ იქნა 2014 წლიდან დღემდე გამართული ძირითადი მაღალი დონის ვიზიტები და შეხვედრები გერმანიისა და საქართველოს ხელმძღვანელ პირებს შორის და ლიდერების გამოთქმული გზავნილებით დადგინდა ის საკითხები, რომლებიც მაღალი დონის შეხვედრების დღის წესრიგის ნაწილია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან დღემდე საქართველო-გერმანიის ურთიერთობები მაღალი დონის შეხვედრების სიმრავლით გამოირჩევა. ამ პერიოდში გაიმართა არაერთი შეხვედრა პრეზიდენტების, პრემიერებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მოლაპარაკების დღის წესრიგის საკითხები პერიოდულად გარკვეულწილად იცვლებოდა, თუმცა მათი ძირითადი ნაწილი მაინც უცვლელი რჩებოდა.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ამ შეხვედრების დღის წესრიგში უცვლელად დგას, არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, რაშიც საქართველო გერმანიის უპირობო მხარდაჭერით სარგებლობს. დღის წესრიგში დგას ისეთი საკითხები, როგორცაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და ოკუპაციით გამოწვეული საფრთხეები, იძულებით გადაადგილებული პირები და ადამიანის უფლებების მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ჩვენი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში გარკვეული აქცენტები კეთდებოდა რუსეთის მიმართ საქართველოს პრაგმატულ პოლიტიკაზე და სიტუაციის დეესკალაციის მცდელობებზე, რაც გერმანული მხარის პოზიტიურ შეფასებებს იმსახურებდა. გერმანიის მხარე ყველა საჯარო განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, თუმცა ფრაზები „ოკუპაცია“ და „ანექსია“ ნაკლებად გვხვდება გერმანული მხარის ლექსიკაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვები მხოლოდ ერთხელ ახსენა კანცლერმა მერკელმა საქართველოში სტუდენტებთან შეხვედრის დროს (Lomsadze, 2018; Mello, 2020).

ქართულ-გერმანული ურთიერთობების დღის წესრიგის საკითხებს შორის არის საქართველოს ევრო- და ჩრდილო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებიც. თუმცა მხარეების მიდგომები ამ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კერძოდ, ქართული მხარის ძირითადი გზავნილია საქართველოს წევრობა ევროკავშირსა და ნატოში, შესაბამისად, ნებისმიერი თანამშრომლობის პროგრამას თუ ფორმატს ძირითადად ამ კონტექსტში განიხილავს. გერმანული მხარე კი მეტ ყურადღებას ამახვილებს თავად თანამშრომლობის პროცესზე და არსებული ფორმატების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებაზე, როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს მიმართულებით არ განიხილავს ამ თანამშრომლობის ფორმატებს გაწევრიანების პროცესს

ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით დღის წესრიგი საკმაოდ ზოგადია. საქართველოს მხრიდან ხდება ქვეყნის, როგორც ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების სივრცის წარმოჩენა. თუმცა, რაიმე კონკრეტულ პროექტებზე საუბარი საჯარო სივრცეში არ იკვეთება. ერთადერთი მეტ-ნაკლებად მასშტაბური პროექტი, რომელზეც საუბარი იყო მხარეებს შორის, არის თბილისის მახლობლად გაზსაცავის მშენებლობის პროექტი, რომლისთვისაც გერმანიის განვითარების ბანკი სესხს გამოყოფს (150 მილიონი ევრო). მოგვიანებით პროექტისთვის განკუთვნილი თანხა ქვეყანაში პანდემიის მართვას მოხმარდა. შესაბამისად, პროექტის მომავალი ამ ეტაპზე გაურკვეველია (Jalagonia, 2021).

მრავალფეროვანი დღის წესრიგით გამოირჩეოდა 2019 წლის 7 ოქტომბერს გამართული საქართველოსა და გერმანიის პრეზიდენტების შეხვედრა. ტრადიციულად განსახილველ საკითხებს შორის იყო ოკუპირებული ტერიტორიები, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მისწრაფებები. წამოიჭრა ახალი საკითხებიც, მათ შორის, სექტორული თანამშრომლობა და ცირკულარული მიგრაცია, ტურიზმი და კულტურის სფეროში თანამშრომლობა, განათლება. დღის წესრიგის საკითხები ზოგადი ფორმით შემოიფარგლა, კონკრეტიკის გარეშე. (Zurabishvili Meets German President, Chancellor in Berlin, 2019).

ბოლო წლების განმავლობაში ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში უფრო და უფრო მეტ სივრცეს იკავებს ქვეყანაში არსებული დემოკრატიული რეფორმები და ამ საკითხების მიმართ გერმანიის განსაკუთრებული ინტერესი. საკითხებს შორისაა პლურალისტური დემოკრატიის განვითარება, სასამართლო სისტემის რეფორმა, ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში, პოლიტიკური სიტუაციის დე-პოლარიზაციის აუცილებლობა და სხვა. გერმანიის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 2020 წლის დეკემბერში გაკეთებული ერთობლივი განცხადება ეხმიანებოდა ნეგატიურ შიდაპოლიტიკურ პროცესებს და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა დემოკრატიული რეფორმების გატარებისკენ (Germany, France Encourage Georgia Continue Democratic Reforms, 2020).

მიუხედავად მაღალი დონის შეხვედრების სიმრავლისა და თანამშრომლობის საკითხების მრავალფეროვნებისა, თანხვედრა მხარეთა პოზიციებში, ძირითადად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საკითხში გვხვდება, სადაც გერმანია უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს. დღის წესრიგის სხვა საკითხების მიმართ კი აშკარად იკვეთება განსხვავებული მიდგომები.

გერმანია არ ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანებაზე, თუმცა ორივე შემთხვევაში თავს იკავებს ვადების დაკონკრეტებისგან. ევროკავშირის მიმართულელებით გერმანია ხაზს უსვამდა არსებული ფორმატების მნიშვნელობას და ვერ ხედავდა ამ ფორმატების ცვლილების აუცილებლობას. გერმანიას მიაჩნია, რომ ასოცირების შეთანხმება და DCFTA მნიშვნელოვანი ფორმატებია და მათზე უნდა მოხდეს ყურადღების კონცენტრირება მათი სრული და ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით.

ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხშიც გერმანია ბოლო დრომდე თავს იკავებდა კონკრეტული ვადების დასახელებისაგან, თუმცა აღიარებს, რომ საქართველო ადრე თუ გვიან გაწევრიანდება ალიანსში. გერმანია ამ ეტაპზე მიიჩნევს, რომ არსებითი პაკეტი არის ის ძირითადი ფორმატი, რაზეც საქართველო უნდა კონცენტრირდეს. რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, გერმანია ბოლო დრომდე სიფრთხილეს ინარჩუნებდა და ერიდებოდა ურთიერთობების დამაბვას, რასაც ისტორიული წინაპირობები და ეკონომიკური ინტერესებიც განაპირობებდა. საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულებას გერმანიის მხარე კონფრონტაციულად მიიჩნევდა (Kakachia, Betger, Lebanidze, Palmi, Sarjveladze, 2019). მაღალი დონის შეხვედრებისას იკვეთებოდა გერმანიის აშკარა ინტერესი, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს რუსეთთან პრაგმატული და დიალოგზე ორიენტირებული ურთიერთობების განვითარებას.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად დამდგარი განხვავებული რეალობა აისახა გერმანიის რუსეთისადმი დამოკიდებულებაზე და მნიშვნელოვნად შეიცვალა გერმანიის პოზიციები, როგორც ევროკავშირის ისე ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. გერმანიამ მხარი დაუჭრა ევროკავშირის გაფართოების საკითხს და მათ შორის საქართველოსთვის წევრობის პერსპექტივის მინიჭებას და მზადყოფნა გამოთქვა მხარი დაუჭიროს კანდიდატის სტატუსის მინიჭებასაც შესაბამისი პირობების შესრულების შემდეგ. შესაძლებელია, პოლიტიკის მსგავსი რადიკალური ცვლილება შეეხოს ნატოს გაფართოების საკითხსაც. გერმანია მხარს უჭერს ნატო-ს ისეთი ქვეყნების მიღებას, რომელთა ალიანსში გაწევრიანების პრინციპული მოწინააღმდეგეც რუსეთი იყო. საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით საჯარო განცხადება შესაბამისი პოლიტიკის ცვლილებების შესახებ გერმანიის მხრიდან არ გაკეთებულა, თუმცა არც საქართველოს მხრიდან მომხდარა საკითხის მნიშვნელოვანი ფორსირება.

## საქართველო-საფრანგეთის თანამშრომლობის დღის წესრიგი

ქართულ-გერმანული ურთიერთობებისგან განსხვავებით, ქართულ-ფრანგული ურთიერთობები შედარებით ნაკლები დინამიკით გამოირჩევა, თუმცა ეს თანამშრომლობა საქართველოსთვის პრინციპული მნიშვნელობის მატარებელია. არსებობს თანამშრომლობის ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატები რომლების სხვადასხვა სფეროებს ფარავენ, თუმცა გერმანიის მსგავსად, საფრანგეთიც იმ ეგრეთ წოდებული სკეპტიკური ქვეყნების რიგშია, რომლებიც ამ ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას.

ჩვენი კვლევის სამიზნე ამჯერადაც არის ის, თუ პოლიტიკური დღის წესრიგის რა ძირითადი საკითხების ირგვლივ მიმდინარეობს ქართულ-ფრანგული თანამშრომლობა, რამდენად თანხვედრაშია ან წინააღმდეგობაშია საფრანგეთის პოზიციები საქართველოს სტრატეგიულ ამოცანებთან.

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების პოლიტიკური დღის წესრიგი საკმაოდ მოკრძალებულია. ქართული მხარე ცდილობს გაამრავალფეროვნოს თანამშრომლობა და დაფაროს სხვადასხვა სფეროები. 2019 წლიდან შეიქმნა დიმიტრი ამილახვრის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგის ფორმატი, რომელიც მიზნად ისახავს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარებას პოლიტიკური, თავდაცვის, უსაფრთხოების, სავაჭრო-ეკონომიკური, განათლებისა და კულტურის სფეროებში. (1st meeting of historic French-Georgian Dimitri Amilakhvari dialogue format to be held in Paris, 2019; Jalagonia, 2021)

ცენტრალური საკითხი, რომელსაც ყველა მაღალი დონის შეხვედრისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, რასაც საფრანგეთი უპირობოდ უცხადებს მხარდაჭერას. საქართველოს საფრანგეთის მხარდაჭერა აქვს ისეთ საკითხებში, როგორც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, ოკუპაციით გაყოფილი საზოგადოების შერიგება, ჰუმანიტარული მდგომარეობა ოკუპირებულ რეგიონებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ გაეროს ყოველწლიური რეზოლუცია.

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით საფრანგეთის პოზიცია არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ, ის მხარს უჭერს საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც ევროკავშირთან, ისე ნატოსთან, თუმცა, გერმანიის მსგავსად, საფრანგეთიც გარკვეული სკეპტიკური შეხედულებებით გამოირჩეოდა საქართველოს ამ ორგანიზაციებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფონზე შეცვლილმა მსოფლიო პოლიტიკურმა ვითარებამ, მნიშვნელოვნად შეცვალა საფრანგეთის დამოკიდებულება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. საფრანგეთმაც, მსგავსად გერმანიისა, მხარი დაუჭირა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის მინიჭებას და მხარს უჭერს კანდიდატის სტატუსის მინიჭებასაც საქართველოს მხრიდან შესაბამისი პირობების შესრულების შემთხვევაში.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში საფრანგეთი გამოხატავს მადლიერებას საქართველოს სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობისათვის სამშვიდობო მისიებში. ასევე, საფრანგეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს ფარგლებში არსებითი პაკეტის სრულად და ეფექტურად განხორციელებას. არსებითი პაკეტის ფარგლებში საფრანგეთმა თავის თავზე იტვირთა საქართველოს საჰაერო თავდაცვის გაძლიერების ფუნქცია (French Defense Minister Visits Georgia, 2016), რის შედეგადაც გაფორმდა ხელშეკრულება საჰაერო თავდაცვის აღჭურვილობის შეძენაზე და შეიქმნა ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი. თუმცა, საჰაერო თავდაცვითი სისტემების შეძენის საკითხი, რომელიც თავდაცვის სფეროში საქართველოსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობის ყველაზე მასშტაბური საკითხია, 2014-15 წლებში დაკავშირებული იყო საქართველოში მმართველ პოლიტიკურ კოალიციაში არსებულ პოლიტიკურ კონფლიქტთან, რამაც გამოიწვია საკითხის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციები. საფრანგეთის მაღალი რანგის პოლიტიკოსების განცხადებები ადასტურებს, რომ ისინი მზად არიან წვლილი შეიტანონ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების პროცესში, თუმცა რაიმე კონკრეტული ახალი ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადადგმულა (Georgian, French Presidents Meet, Pledge to Deepen Ties, 2019).

მოსალოდნელია საფრანგეთის პოლიტიკის ცვლილებები ნატოს გაფართოების საკითხებშიც, მათ შორის საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებითაც. რადგანაც მთავარი წინააღმდეგობრივი საკითხი, რომელიც უკავშირდებოდა ფრანგულ-რუსულ ურთიერთობებს სავარაუდოდ აღარ იქნება შემაფერხებელი ფაქტორი, როგორც ეს შვედეთისა და ფინეთის ნატოში წევრობის საფრანგეთის მხრიდან მხარდაჭერაში გამოჩნდა. თუმცა, საჯარო განცხადება საფრანგეთის მხრიდან ამ მიმართულებით არ გაკეთებულა და არც საქართველოს მხრიდან გამოჩნდა დამატებითი ძალისხმევა ამ მიმართულებით.

ეკონომიკური თანამშრომლობის დღის წესრიგი საკმაოდ მოკრძალებულია. ზოგადი პოლიტიკური გაცხადებების დონეზე არაერთხელ გამოთქმულა სურვილები ორივე მხრიდან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებით, თუმცა ძირეული ძვრები ამ კუთხით ნაკლებად გამოიკვეთა, თუ არ ჩავთვლით საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ დახმარებას 483 მილიონი ევროს ოდენობით (ძირითადი ნაწილი სესხია, ხოლო 33 მლნ ევრო გრანტის სახით გამოიყო), რომელიც უნდა მოხმარდეს წყლის რესურსების მართვის, სოფლის მეურნეობის, ურბანული განვითარების და ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოციალური და ჯანდაცვის სფეროების განვითარებას.

თანამშრომლობის არსებული ლიმიტირებული დღის წესრიგის გაფართოებას საქართველო გეგმავს დიმიტრი ამილახვრის დიალოგის და სამხრეთი გერმანულ-ფრანგული დიალოგის ფორმატების ფარგლებში. თუმცა ჯერჯერობით მხარეები არ შეთანხმებულან თანამშრომლობის დღის წესრიგის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

## საქართველო-ნატოს თანამშრომლობის დღის წესრიგი

საქართველოს ნატოს წევრობა, არის საქართველოს საგარეო სტრატეგიული ამოცანა, რომელიც, ერთი მხრივ, ემყარება საქართველოს პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებას, მეორე მხრივ, იგი წარმოადგენს პრაგმატულ გეოპოლიტიკურ არჩევანს, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას დემოკრატიულ თანამეგობრობასთან მჭიდრო კავშირით. ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხი ასახულია საქართველოს კონსტიტუციაშიც და სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარდაჭერით.

1992 წლიდან უკვე დამოუკიდებელი საქართველო იწყებს პირველი ნაბიჯების გადადგმას ნატოს მიმართულებით და ყალიბდება თანამშრომლობის პირველი ფორმატები. 1992 წლიდან საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს, რომელიც 1997 წლიდან გადაკეთდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოდ და მოიაზრებს ნატოს წევრებსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატს. 1994 წლიდან საქართველო ხდება „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის მონაწილე, რომლის ფარგლებშიც იწყება ნატოსა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის თვისებრივი გაღრმავება.

2002 წელს ნატოს პრადის სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ნატოში გაწევრიანების შესახებ. 2004 წლიდან იწყება ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელება (IPAP – Individual Partnership Action Plan). ეს არ იყო გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, თუმცა ის ითვალისწინებდა საქართველოში რეფორმების განხორციელებას სხვადასხვა მიმართულებით, რაც სამომავლოდ საქართველოს ნატოსთან დაახლოებას და მასში გაწევრიანებას შეუწყობდა ხელს. 2006 წლიდან დაიწყო გაწევრიანების საკითხზე ინტენსიური დიალოგი.

2008 წლის ბუქარესტის სამიტისთვის შეიქმნა მოლოდინი, რომ საქართველოს მიენიჭებოდა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan), რომელიც უნდა გამხდარიყო გაწევრიანების ბოლო ეტაპი. თუმცა ნატოს გავლენიან წევრებს შორის (ერთი მხრივ, აშშ და მეორე მხრივ გერმანია და საფრანგეთი) მნიშვნელოვანი უთანხმოების გამო საკითხი ვერ გადაწყდა საქართველოს სასარგებლოდ. სამიტის დეკლარაციაში დაფიქსირდა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, თუმცა კონკრეტული ვადების მითითების გარეშე. ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება საქართველოს გაწევრიანებასთან

დაკავშირებით არაერთხელ იყო განმეორებული სხვადასხვა სამიტების ოფიციალურ შემაჯამებელ დეკლარაციებსა და კომუნიკებში, თუმცა საკითხზე საბოლოო კონსენსუსის მიღწევა ნატოს წევრებს შორის ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

2008 წლიდან მოქმედებს ნატო-საქართველოს კომისია, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდა. კომისიის ფარგლებში მუშავდება ყოველწლიური ეროვნული გეგმა რომლის რეალიზებაც ხელს უწყობს ასპირანტი ქვეყნის წევრობისათვის მომზადებას. 2014 წელს შემუშავდა საქართველოსთვის არსებითი პაკეტი, რომელიც გულისხმობს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას და გაწევრიანებისათვის მომზადებას. მომდევნო წლების განმავლობაში პაკეტი რამდენჯერმე განახლდა. არსებითი პაკეტი წარმოადგენს ნატოსა და საქართველოს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის მთავარ ინსტრუმენტს.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის დღის წესრიგის მთავარი საკითხი, ბუნებრივია, არის საქართველოს ალიანსში გაწევრიანება და, შესაბამისად, თანამშრომლობის ყველა საკითხი ამ ცენტრალურ ამოცანაზეა ფოკუსირებული. ნატოს შიგნით არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით ვერ ხერხდება საბოლოო კონსენსუსის მიღწევა გაწევრიანებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის დღის წესრიგის სათავეში გაწევრიანების საკითხი უცვლელად რჩება. თუმცა, არის საკითხებიც, რომლებიც ექცევა ორივე მხარის ინტერესებში და აყალიბებს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფართო დღის წესრიგს. მათ შორის არის თანამშრომლობა თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში, საქართველოს მონაწილეობა და მუდმივი მზადყოფნა ჩაერთოს ნატოს სამშვიდობო მისიებში და წვლილი შეიტანოს გლობალური უსაფრთხოების საკითხებში, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები. აღსანიშნავია, რომ ამ რეფორმებთან დაკავშირებით დღეს არსებულმა კრიტიკამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზიანოს ნატო-საქართველოს ურთიერთობებიც.

ბოლო რამდენიმე წელია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების საკითხზეც. ამ მიმართულებით საქართველო ცდილობს დაანახოს პარტნიორებს საქართველოს განსაკუთრებული შესაძლებლობები და შეიტანოს საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილი შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, სამთავრობო პროგრამის მიხედვით, დაგეგმილი იყო შავი ზღვის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, თუმცა რაიმე კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ ჯერობით არ გადადგმულა.

დღეისათვის საქართველო არის ნატოს ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორი და მნიშვნელოვანი კონტრიბუტორიც. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები ნატოს მხრიდან დადებითად ფასდება. საქართველო განიხილება, როგორც რეგიონის მოწინავე ქვეყანა პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით. თუმცა, ფართო დღის წესრიგისა და წარმატებული თანამშრომლობის მიუხედავად, გაწევრიანების პერსპექტივა კვლავ გაურკვეველი რჩება.

## საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან იწყება და საწყის პერიოდში უმეტესად ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარებებით შემოიფარგლებოდა. 1990-იანი წლების მიწურულს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ამოქმედდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლობის ახალი მიმართულებები და სფეროები გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის ძირითადი აქცენტები მიმართული იყო კანონმდებლობის ჰარმონიზაციისაკენ და პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავდა.

შემდგომი წლების განმავლობაში ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის მრავალი ახალი მიმართულება გამოიკვეთა. ევროკავშირი ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი გახდა საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და განვითარების საქმეში. ორმხრივი თანამშრომლობა და

იმავდროულად ევროკავშირის ტექნიკური და ფინანსური დახმარების პროგრამებმა მოიცვა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროს პრაქტიკულად ყველა მიმართულება. მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის როლი 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევაში. ამ შეთანხმების შედეგად, ევროკავშირის მონიტორინგის მისია ახორციელებს საქართველოში საოკუპაციო ხაზებთან არსებული სიტუაციის მონიტორინგს. ამავე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შედეგად შეიქმნა სამშვიდობო მოლაპარაკებათა ფორმატი, რომელიც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების სახელით არის ცნობილი და მასში ევროკავშირთან ერთად სხვა საერთაშორისო აქტორებიც, მათ შორის გაერო და ეუთოც, არიან ჩართულები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფორმატის ფარგლებში ფუნდამენტური ხელშესახები შედეგები ამ დრომდე ვერ იქნა მიღწეული, ფორმატი, როგორც ერთადერთი საერთაშორისო პლატფორმა, ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები ყველა შესაძლო შემთხვევაში გამოთქვამენ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, რაც ასახულია კიდევ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და განცხადებაში, მათ შორის, ევროპარლამენტის გადაწყვეტილებებშიც.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა ორმხრივ ურთიერთობებში არის ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულება, რომელიც ხელშესახები შედეგების მომტანია, პირველ რიგში, მოსახლეობისათვის. ჯერ კიდევ მოლაპარაკების პროცესში და მოგვიანებით, უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, საქართველოდან მიგრანტთა საკითხი გარკვეული პრობლემურად წამოიჭრა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში, თუმცა ამ საკითხმა საქართველო-გერმანიისა და საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების დღის წესრიგში გადაინაცვლა.

2017 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირის შორის მოქმედებს სტრატეგიული უსაფრთხოების დიალოგის ფორმატი, რომელიც ყოველწლიურად მაღალი დონის შეხვედრებს გულისხმობს და მიზნად ისახავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას. საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში და ამით თავისი წვლილი შეაქვს გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დღევანდელი მდგომარეობით, თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ორი ძირითადი ფორმატით მიმდინარეობს. პირველ რიგში აღსანიშნავია აღმოსავლეთის პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატი, სადაც საქართველოსთან ერთად ჩართული არიან რეგიონის სხვა ქვეყნებიც. მეორე ფორმატია ასოცირების ხელშეკრულება და მასთან ერთად DCFTA. თავად ამ ხელშეკრულების გაფორმებაც საქართველო-ევროკავშირის შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრული და ახალი უფრო სიღრმისეული თანამშრომლობის დასაწყისია. ორივე მიმართულება თავისი მასშტაბებითა და თანამშრომლობის საკითხებით მრავალფეროვანია და სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებს პრაქტიკულად სრულად მოიცავს. თუმცა, ორივე ამ ფორმატის და მასში შემავალი სხვადასხვა ქვეფორმატების უმთავრეს საკითხს საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის პროცესი, თავის მხრივ, შინაარსობრივად დატვირთული ფორმატია და მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. მისი ძირითადი ამოცანა ერთიანი დემოკრატიული ღირებულებების, კეთილდღეობისა და სტაბილურობის სივრცის შექმნა ევროპის აღმოსავლეთით. აღმოსავლეთ პარტნიორობის უკვე 12-წლიანმა ისტორიამ მნიშვნელოვნად დაახლოვა საქართველო ევროკავშირთან და შეიძლება ითქვას, რომ ხელი შეუწყო ისეთი მნიშვნელოვანი მიღწევას ორმხრივ ურთიერთობაში, როგორცაა ასოცირების ხელშეკრულება.

ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ს ეფექტური განხორციელება გულისხმობს ფუნდამენტურ რეფორმებს პრაქტიკულად ყველა სფეროში, თუმცა ასევე არსებობს საქართველოს მიერ ცალმხრივად შემუშავებული ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ინსტიტუციურ და სამართლებრივი სისტემის იმდევარ რეფორმას, რომლის შედეგადაც საქართველო გაწევრიანების პრაქტიკულად ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს და პოლიტიკური ნების შემთხვევაში,



მზად იქნება გაწვევრიანებისათვის. თუმცა, 2019 წლიდან მოყოლებული გაწვევრიანების საგზაო რუკას მაღალი რანგის ოფიციალური პირები სულ უფრო ნაკლებად მოიხსენიებენ, როგორც მთავარ დოკუმენტს.

DCFTA განხილვება, როგორც ახალი სტიმული საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შედეგად, გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა, გაჩნდა დამატებითი სტიმული ინვესტიციების მოსაზიდად. საქართველომ მიზნად დაისახა ერთიან ევროპულ ბაზართან ეტაპობრივი მიერთება, რითაც უნდა მოხდეს ქართული ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად ინტეგრაცია ევროპულ ბაზარზე. საქართველო პოზიციონირებს, როგორც ეკონომიკური შესაძლებლობების სივრცე და წარმოაჩენს საკუთარ თავს, როგორც აზია-ევროპის დამაკავშირებელი სატრანზიტო ქვეყანა, ალტერნატიული სატრანსპორტო და ენერგეტიკული ჰაბი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ათწლიან გეგმაში დასახელებულია რამდენიმე პროექტი, რომლებიც უფრო კონკრეტულ საკითხებსა და უფრო ძლიერ მხარდაჭერას საჭიროებს.

ასოციაციის ხელშეკრულების გაფორმების მიუხედავად, აღმოსავლეთ პარტნიორობას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა საქართველოსთვის და მონაწილე ქვეყნები კვლავ აქტიურად იყენებენ ამ ფორმატს. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 მონაწილიდან 3-მა ხელი მოაწერა ასოციაციის ხელშეკრულებას ევროპასთან. ამავე ქვეყნებს ასევე აქვთ ევროკავშირში გაერთიანების ერთი საერთო სტრატეგიული ამოცანა. აღმოსავლეთ პარტნიორობის იმ წევრებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ასოციაციის ხელშეკრულებას, შექმნეს ასოციაციის ტრიო, რომელიც ცდილობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში კოორდინირებულად იმოქმედოს გაწვევრიანების საკითხთან დაკავშირებით.

ევროკავშირმა დადებითად შეაფასა თანამშრომლობის ეს ახალი ფორმატი. ასოციაციის ტრიოს მაღალი დონის სამიტს ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის დაესწრო. ევროკავშირის მხარდაჭერა ამ ინიციატივის მიმართ კიდევ ერთხელ გამოვლინდა 2021 წლის 15 დეკემბერს გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე მიღებული ერთობლივი დეკლარაციით, რომელშიც ხაზი გაესვა ასოციაციის ტრიოს ფორმატის დაარსების მნიშვნელობას. გარდა ამისა, დეკლარაცია წარმოადგენს მონაწილე ქვეყნების იმ მცდელობის მხარდაჭერას, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებას და ასოციაციის ტრიოს წევრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ევროკავშირთან ინტეგრაციის დღის წესრიგის განხორციელების მიზნით (Eastern Partnership Summit, 2021).

ასევე ხაზგასასმელია ევროკავშირის მიერ ინიცირებული ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ინვესტიციის გეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. გეგმის მიხედვით, ევროკავშირი გამოყოფს 2.3 მილიარდ ევროს გრანტების სახით და მობილიზებას გაუწევს 17 მილიარდ ევროს საჯარო და კერძო სექტორში ინვესტიციების მიზნით. ინიციატივას, რომელიც „გაჯანსაღება, მედეგობა და რეფორმების“ სახელითაა ცნობილი, მხარი დაუჭირეს 2021 წლის 15 დეკემბერს გამართულ აღმოსავლეთი პარტნიორობის სამიტზე და იგი აისახა სამიტის დასკვნით დეკლარაციაში, რომელსაც ხელი ყველა წევრმა მოაწერა. ეს პროცესი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ევროკავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხსენებული საინვესტიციო გეგმის განხორციელება მჭიდროდაა დაკავშირებული პარტნიორობის ქვეყნებში კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით მიმდინარე რეფორმების წარმატებულ განხორციელებასთან (Eastern Partnership Summit, 2021).

ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით საქართველოში რეფორმები განხორციელდა ადამიანის უფლებების, სასაქელაღსრულების, განათლების, მეცნიერების და ინოვაციის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის, საჯარო სერვისების, ენერგეტიკის, რეგიონალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის, ასევე სხვა სფეროებში. ევროპული ინსტიტუტები და ევროპელი პარტნიორები საქართველოს დემოკრატიული რეფორმების მიმართულებით ბოლო დრომდე რეგიონულ ლიდერად აღიქვამენ. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში მომრავლდა კრიტიკული შეფასებები ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და სხვა მსგავსი საკითხების მიმართ, როგორც ევროკომისიის, ისე ევროპარლამენტის მხრიდან.

ზემოთ ჩამოთვლილი თანამშრომლობის ყველა ფორმატი, მათი დღის წესრიგების მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც კონსოლიდირებულია ერთი მთავარი ამოცანის - ევროკავშირში გაწევრიანების ირგვლივ. სწორედ ეს საკითხი დომინირებს საქართველოს მთავრობის პროგრამის სახელწოდებასა და ძირითად გზავნილებშიც. სამთავრობო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი გაცხადებული ამოცანაა 2024 წლისთვის ევროკავშირში წევრობის ოფიციალური განაცხადის წარდგენა, ხოლო 2030 წლისთვის - კანდიდატის სტატუსის მიღება.

თუმცა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად შექმნილმა ახალმა ვითარებამ, გააჩინა ეგრეთ წოდებული შესაძლებლობების ფანჯარა, პირველ რიგში უკრაინისათვის და მასთან ერთად ასოცირებული ტრიოს ორი დანარჩენი სახელმწიფოსთვის. ასოცირების ტრიოს სახელმწიფოებმა პარალელურ რეჟიმში წარადგინეს განაცხადი წევრობაზე. ტრიოს სამი სახელმწიფოდან ორმა, უკრაინამ და მოლდოვამ მიიღეს კანდიდატის სტატუსი. საქართველოს მიეცა მხოლოდ გაწევრიანების პერსპექტივა, ხოლო კანდიდატის სტატუსის მიღებას მოახერხებს მხოლოდ ევროკავშირის საბჭოს მიერ წარდგენილი პირობების შესრულების შემდეგ. რაც იმას ნიშნავს, რომ აქამდე არსებული ბარიერები, და სკეპტიკური ქვეყნების პრობლემა მოიხსნა დღის წესრიგიდან და ამ ეტაპზე, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური ამოცანის რეალიზება დიდ წილად დამოკიდებულია თავად საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესებზე.

## პარტნიორი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

### ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ის საგარეო პოლიტიკა დიდწილად ქვეყნის გლობალური სტატუსიდან გამომდინარეობს. მე-20 საუკუნიდან აშშ გველინება დემოკრატიული სამყაროს ლიდერად, ხოლო ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ, პრაქტიკულად, ერთადერთ სუპერძალად ჩამოყალიბდა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ფორმირებაზე.

აშშ-ში, როგორც ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის მოდელში, საგარეო პოლიტიკის შექმნაში ცენტრალური როლი აკისრია პირადად პრეზიდენტს, მის შეხედულებებსა და ღირებულებებს. იმავდროულად, საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენა აქვს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ბიუროკრატიას (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სახელმწიფო დეპარტამენტი და სხვა), ისე საკანონმდებლო ორგანოს, სენატსა და წარმომადგენელთა პალატას. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ძირითადად განგრძობადობით ხასიათდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიმართ, თუმცა გარკვეული პრიორიტეტები შიდაპოლიტიკური ციკლებისა და საერთაშორისო სისტემაში არსებული გამოწვევების შესაბამისად იცვლება. იმისათვის, რომ დავინახოთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, მნიშვნელოვანია უმთავრესად პრეზიდენტების პირადი შეხედულებების ანალიზი, თუმცა ამავდროულად გასათვალისწინებელი იქნება ის აქცენტებიც, რომლებსაც აშშ-ის სხვა სტრუქტურებიც აკეთებდნენ.

პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკა გლობალური მასშტაბით განსხვავებული იყო აშშ-ში დამკვიდრებული ტრადიციული მიდგომებისგან. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ტრამპის კრიტიკული დამოკიდებულება ევროპის მიმართ, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ტრადიციული სულისკვეთება. ამავდროულად, თეთრი სახლის ადმინისტრაციის მხრიდან სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმების დატოვებამ და საერთაშორისო სისტემის მკაცრმა კრიტიკამ, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობა დისფუნქციურად კი გახადა (Blockmans, 2021). მიუხედავად ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებისა ნატოსა და ევროკავშირის მიმართ, საქართველოსთან დაკავშირებით აშშ-ის პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. აშშ განაგრძობდა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

ინტეგრაციის და, ზოგადად, ნატოს გაფართოების პროექტის მხარდაჭერას, რადგანაც ეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დიდი სტრატეგიის ნაწილია და ამ საკითხზე გარკვეული პოლიტიკური კონსენსუსი არსებობს (Shiffrinson, 2020).

აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ განაცხადა მნიშვნელოვანი გადახალისების შესახებ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ბევრი მიმართულებით. ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია თავად პრეზიდენტ ბაიდენის პირად შეხედულებებზე, მიდგომებსა და გამოცდილებაზე. იმავდროულად, კონგრესის ორივე პალატაში დემოკრატიული პარტიის უმრავლესობა განაპირობებს თეთრ სახლსა და კაპიტოლიუმს შორის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰარმონიულ ურთიერთობას, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის სფეროშიც.

ბაიდენის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს დიპლომატიაზე, როგორც აშშ-ის ძალაუფლების მთავარ ინსტრუმენტზე და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ თანამშრომლობაზე პარტნიორებთან. მოქმედი ადმინისტრაცია ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დემოკრატიის დღეს არსებულ კრიზისულ მდგომარეობას, მზარდ პოპულიზმს და ანტილიბერალიზმის, კანონის უზენაესობის მიმართ საფრთხეებს, იარაღად ქცეულ კორუფციას, პოლარიზაციას, გლობალურ უთანასწორობას მიიჩნევს. შესაბამისად, აქცენტები კეთდება დემოკრატიის რევიტალიზაციასა და ავტორიტეტებთან ბრძოლაზე (Interim National Security Strategic Guidance, 2021).

პრეზიდენტ ბაიდენის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია დემოკრატიულ ქვეყნებთან ალიანსში გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღება ისეთი ფორმით, რომელიც ხელს შეუწყობს გლობალური უთანასწორობისა და ადამიანების მჩაგვრელი პრაქტიკის დაძლევის და შექმნის თანასწორ ეკონომიკურ გარემოს. მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, პრეზიდენტი ბაიდენი ახალი სავაჭრო შეთანხმებების დადების მომხრეა, რომელიც მსოფლიოში სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების სამართლიან წესებს დაამკვიდრებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ბაიდენის ყურადღების ცენტრშია ადამიანის უფლებების, მათ შორის, მშრომელთა უფლებების დაცვა და გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა. შეთანხმებები უნდა გაფორმდეს მხოლოდ გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დაცვით და ხელი შეუწყოს არა მხოლოდ ცალკეული პირების, არამედ საშუალო ფენის გაძლიერებას. პრეზიდენტ ბაიდენის შეხედულებით, ჩინეთის სავაჭრო შეთანხმებების პოლიტიკა ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ ჩინეთის მზარდ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც ძირს უთხრის სამართლიანი სავაჭრო-ეკონომიკური წესრიგის ფორმირებას, აუცილებელია პარტნიორებთან ერთად ერთიანი ფრონტით უპასუხო და აღკვეთონ ჩინეთის მჩაგვრელი პრაქტიკა და უფლებათა დარღვევები (Biden, 2020). აშშ ღიად დაუპირისპირდა ჩინეთის მიერ ინიცირებულ Belt and Road-ის ინიციატივას. 2021 წლის ივნისში გამართულ დიდი შვიდეულის შეხვედრაზე მონაწილეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ჩინეთის Belt and Road-ის პროექტის ალტერნატივის შემუშავების შესახებ, რომელიც დაეფუძნება დემოკრატიისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და გაცილებით მაღალი ხარისხის იქნება (Wintour, 2021; Biden, 2020).

განსხვავებული იქნება აშშ-ის ახალი პოლიტიკა გლობალური საფრთხეების მიმართ, სადაც აშშ შეეცდება კვლავ აღიდგინოს ლიდერის როლი მულტილათერალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მოახდინოს პარტნიორების კონსოლიდაცია. უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევებიდან აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია განსაკუთრებით გამოყოფს პანდემიას და მსგავსს ბიოლოგიურ საფრთხეებს, კლიმატის ცვლილებებს, კიბერ-უსაფრთხოებას, საერთაშორისო ეკონომიკის მოშლას, ჰუმანიტარულ კრიზისებს, ექსტრემიზმსა და ტერორიზმს და ატომური იარაღის გავრცელებას. აშშ მიიჩნევს, რომ ჩინეთი თავისი ეკონომიკური, სამხედრო, დიპლომატიური და ტექნოლოგიური შესაძლებლობებით მთავარი გამოწვევაა სტაბილური და ღია მსოფლიო წესრიგისთვის. თუმცა, მიუხედავად კრიტიკული დამოკიდებულებისა ჩინეთის მიმართ, ბაიდენის ადმინისტრაცია მაინც მიიჩნევს, რომ ისეთ საკითხებში, როგორცაა კლიმატის ცვლილებები, გლობალური ჯანმრთელობა და ატომური იარაღის გაუვრცელებლობა, აშშ-ის თანამშრომლობა ჩინეთთან მნიშვნელოვანია (Biden, 2020).

განსხვავებულია აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მიდგომა ნატოსა და ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ზოგადი ფორმატის მიმართაც. აშშ ნატოს ეროვნული უსაფრთხოების განსაკუთრებულ

ფაქტორად განიხილავს და მიაჩნია, რომ ნატოს გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია დემოკრატიული ღირებულებების ირგვლივ გაერთიანება. რუსეთის აგრესიული ქმედებების საწინააღმდეგოდ ნატო ეფექტური ინსტრუმენტია, თუმცა ასევე უნდა გამახვილდეს ყურადღება რუსეთიდან მომდინარე ისეთ საფრთხეებზე, როგორც კიბერთავდასხმები, დეზინფორმაცია და იარაღად ქცეული კორუფცია. ზაიდენი რუსეთის დესტრუქციული ქმედების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრეა.

მიუხედავად იმისა, რომ ზაიდენი რბილ ძალას და დიპლომატიას ამერიკული გავლენების განმტკიცების უმთავრეს ინსტრუმენტებად მიიჩნევს, მისთვის სამხედრო შესაძლებლობების შენარჩუნებაც არანაკლებ პრიორიტეტულია. იგი მხარს უჭერს საერთაშორისო მისიების შემცირებას, რაც უკვე დადასტურდა მისი პრეზიდენტობის პირველივე თვეებში ავღანეთიდან ჯარების გამოყვანით.

უკრაინაში რუსეთის აგრესიის შემდეგ აშშ-ს მიეცა შესაძლებლობა დაედასტურებინა ლიდერობის პოტენციალი, საკუთარ თავზე აიღო პროცესის გაძლიერება ნატოს წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობითა და ტრანსატლანტიკური პარტნიორობის გასაძლიერებლად. ამ პროცესში მნიშვნელოვნად გამოიკვეთა აშშ-ს როლი როგორც უკრაინის მხარდაჭერაში, ისევე ახალი რეგიონალური უსაფრთხოების არქიტექტურის ფორმირებაში. პროცესის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ კონგრესში შავი ზღვის უსაფრთხოების აქტის ორპარტიული ინიცირებაც, რომლის შედეგადაც აშშ-ს ლიდერობითა და ნატოსა და ევროკავშირთან პარტნიორობით, მნიშვნელოვნად გაიზარდა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სფეროებში.

## გერმანია

ის თუ, როგორ პოზიციონირებს გერმანია საგარეო არენაზე და რას ემყარება მისი საგარეო პოლიტიკა, განაპირობებს გერმანიის თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან და, მათ შორის, განსაზღვრავს თანამშრომლობის დღის წესრიგს საქართველოსთან. ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები იმისათვის, რომ შემდგომ საქართველოსა და გერმანიის საგარეო პრიორიტეტების შედარებითა და შეპირისპირებით გამოვავლინოთ შეხედულებების აცდენა ან თანხვედრა.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა ხასიათდება როგორც განგრძობადობა ასევე ცვალებადობით, რომლებიც უნდა განვიხილოთ, როგორც ადაპტაცია გარკვეულ ვითარებებსა და საჭიროებებთან. თუმცა, იმავდროულად, გერმანია ერთგული რჩება საკუთარი მიზნებისა და სტრატეგიულ ორიენტირების მიმართ. პოლიტიკის განგრძობადობა დიდწილად გამომდინარეობს საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესის თავისებურებებიდან. ფორმალურად, გერმანიის საგარეო პოლიტიკას აღმასრულებელი ხელისუფლება აყალიბებს, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით გერმანიის საგარეო პოლიტიკა ყალიბდება სხვადასხვა აქტორებს შორის გარკვეული კონსენსუსის საფუძველზე. აქტორებს შორის არიან ცალკეული სამინისტროები, რომლებიც, კოალიციურ მთავრობის შინაარსიდან გამომდინარე, უმეტესად სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ. ასევე, გავლენა აქვთ საპარლამენტო კომიტეტებს, პოლიტიკურ ჯგუფებს, ხელისუფლების გარეთ ინდივიდებს და ორგანიზაციებს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს (Mello, 2020). ამგვარ რთულ პოლიტიკურ გარემოში განსაზღვრული პოლიტიკა იშვიათად ექვემდებარება გადახედვას.

გერმანიის საგარეო პრიორიტეტების ფორმირებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიულ წინაპირობებს. ცივი ომის პერიოდში გერმანია ტრანსატლანტიკური და პროევროპული პოლიტიკის მიმდევარი იყო. მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ვილი ბრანტის<sup>1</sup> ახალმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ, რომელიც განიხილებოდა გერმანიის აღმოსავლეთ მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან, ტრადიციული პარტნიორული ურთიერთობების ჩარჩოდ (Mello, 2020).

<sup>1</sup> გერმანიის კანცლერი, რომელსაც თანამდებობა 1969 წლის ოქტომბრიდან 1974 წლის მაისამდე ეკავა.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა შემდეგ ხუთ ძირითად მიმართულებას ემყარება:

- სუვერენული ევროპა
- ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა
- მშვიდობა და უსაფრთხოება
- დემოკრატია და ადამიანის უფლებები
- მულტილატერალიზმი

ევროკავშირი არის გერმანიის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი და განსაზღვრავს მის საგარეო პოლიტიკის ძირითად კურსს. გერმანიისთვის პრიორიტეტულია ევროკავშირის ერთიანობის გაძლიერება, ევროკავშირის წევრებთან თანამშრომლობა და მისი ეკონომიკური განვითარება, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნა და გლობალურ სისტემაში ერთიანი ევროპული პოზიციის მხარდაჭერა (Germany's Foreign and European Policy Principles, 2019).

ევროკავშირის შიგნით და თავად გერმანიაშიც ევროსკეპტიკური პარტიების გაძლიერებამ ზეგავლენა იქონია გერმანიის ევროპულ პოლიტიკაზეც, რამაც განაპირობა მისი მომატებული სიფრთხილე ევროკავშირის შემდგომი გაფართოების საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა გერმანიის საგარეო პოლიტიკა მაინც ევროოპტიმისტურია.

აშშ არის გერმანიის ძირითადი პარტნიორი ევროკავშირის გარეთ, ხოლო ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა გერმანიის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, მაშინაც კი, როდესაც ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის პარტნიორებს შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს (მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, კრიტიკული პოზიციები ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის მიმართ). გერმანიის მიერ საგარეო პოლიტიკის მთავარ პლატფორმად ევროკავშირის გამოყენება და მისი გავლენები ამ ორგანიზაციაში, ამავდროულად, მისი განსაკუთრებული ყურადღება ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობაზე (ნატო და ჩრდილოეთი ამერიკა) მას საგარეო პოლიტიკის ეფექტურად წარმოების, საერთაშორისო უსაფრთხოების ქმედუნარიანი ქოლგის ქვეშ მოქცევისა და ევროპაში საკუთარი პოზიტიური რეპუტაციის შექმნის საშუალებას აძლევს (Helwig, Siddi, 2020) (Mello, 2020).

გერმანია მოწოდებულია მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განსამტკიცებლად, მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით ისეთი ორგანიზაციების ფარგლებში, როგორცაა EU, NATO, UN, OSCE, G7, G20. პირველ რიგში ეს გულისხმობს კრიზისების და კონფლიქტების განმუხტვის დიპლომატიურ მცდელობებს. გერმანიის მულტილატერალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხებია განიარაღების პოლიტიკა, კრიზისების პრევენცია და სტაბილიზაცია, პოსტკონფლიქტური მშვიდობის მშენებლობა. გერმანიის მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე ეძღვნება საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებას. გერმანია არის ერთ-ერთი მთავარი დონორი ჰუმანიტარული დახმარების, კრიზისების პრევენციისა და მედიაციისა და სტაბილიზაციის პროცესში (Germany's Foreign and European Policy Principles, 2019).

მსოფლიოში დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობის მხარდაჭერა და გაძლიერება არის გერმანიის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება. მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოება და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ქალები და გენდერული თანასწორობა, ბავშვთა უფლებები, უმცირესობების უფლებები, შშმ პირების უფლებები, რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლება. გერმანია მიიჩნევს, რომ მხოლოდ ამ პრინციპების დაცვით არის შესაძლებელი გრძელვადიანი მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შესაბამისად, გერმანია ადამიანის უფლებების დაცვას განიხილავს მშვიდობისა და უსაფრთხოების აუცილებელ წინაპირობად (Germany's Foreign and European Policy Principles, 2019).

გერმანიას მნიშვნელოვნად მიაჩნია უზრუნველყოს გლობალიზაციის მდგრადობა და სამართლიანობა, რაც, მისი აზრით, მშვიდობისა და უსაფრთხოების წინაპირობაა. შესაბამისად, გერმანიის საგარეო პოლიტიკა მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორცაა კლიმატის ცვლილებები, მიგრაცია, მდგრადი განვითარების დღის

წესრიგი, ენერგეტიკა და რესურსების უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, ციფრული ტექნოლოგიები, კიბერუსაფრთხოება, ინტერნეტის თავისუფლება (Germany's Foreign and European Policy Principles, 2019).

გერმანიის რუსეთთან ტრადიციულად კარგი ურთიერთობები მნიშვნელოვნად დააზიანა რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის პრინციპების მუდმივმა დარღვევამ, მათ შორის, უკრაინაში ყირიმის ანექსიამ და ქვეყნის შიგნით არადემოკრატიული მმართველობის მეთოდების დამკვიდრებამ. გერმანიამ მხარი დაუჭირა სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ (Helwig, Siddi, 2020; Mello, 2020). თუმცა, მკაცრი ზომების მიუხედავად, გერმანია მხარს უჭერდა რუსეთთან დიალოგის რეჟიმის შენარჩუნებას, ხოლო საქართველოს რუსეთისადმი დღევანდელი დამოკიდებულებას კონფრონტაციულად მიიჩნევდა, (Kakachia, Betger, Lebanidze, Palmi, Sarjeladze, 2019; Kinkartz, 2022) რაც ეწინააღმდეგება გერმანიის რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის მცდელობებს.

გერმანიის რეაქციამ უკრაინის კრიზისის საწყის ეტაპზე დაადასტურა, რომ გერმანია მყარად არის დაკავშირებული მის ტრადიციულ საგარეო პოლიტიკაზე. ახლადარჩეულ კანცლერს მოუწია კოალიციური მთავრობის მრავალფეროვნებისა და ამავდროულად, მის საკუთარ პარტიაში არსებული ტრადიციული აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინება რუსეთის საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ კრიზისის საწყის ეტაპზე გერმანია, რომელიც დიალოგისა და კრიზისის დიპლომატიური გზით აღმოფხვრისკენ იხრებოდა, განსხვავებით აშშ-ისა და ნატოს სხვა წევრი ქვეყნებისგან, თავს იკავებდა რუსეთის ქმედებების მწვავე კრიტიკისგან. მეორე მხრივ, გერმანია ცდილობდა ზიანი არ მიეყენებინა ტრანსატლანტიკური პარტნიორობისთვის და მზადყოფნას გამოთქვამდა ალიანსის წევრებთან ერთად კოორდინირებული ქმედებებისთვის (Chazan & Seddon, 2022).

*რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად, რამაც დაადასტურა, რომ ომის თავიდან აცილების დიპლომატიური მცდელობები ამო აღმოჩნდა, რუსეთის მიმართ გერმანიის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა* (Kinkartz, 2022). რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, გერმანიამ მხარი დაუჭირა ნატოში ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანებას. ეს იმის დასტურია, რომ ნატოს გაფართოების საკითხებში რუსეთი აღარ იქნება ფაქტორი გერმანიისათვის, რაც გარკვეულ პერსპექტივებს აჩენს საქართველოსთვისაც. ცვლილებები შეეხო გერმანიის პოლიტიკას ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებითაც, რაც გამოიხატა საქართველოსთვის კავშირის წევრობის პერსპექტივის, ხოლო უკრაინა და მოლდოვისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მხარდაჭერაში. საერთო ჯამში, ეს არის გერმანიის საგარეო პოლიტიკის ისტორიული გადააზრების მომენტი, რომლის ფარგლებშიც მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდეს ბევრი მიმართულებით.

## საფრანგეთი

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა და მისი საერთაშორისო როლი ისტორიულ ფესვებზე დგას და ფრანგული პოლიტიკური იდენტობის ნაწილია (Rapnouil, Shapiro, 2017). მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთიც მრავალპარტიული დემოკრატიაა, მისი ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტი განაპირობებს ქვეყნის ლიდერის პირადი შეხედულებებისა და აღქმების მძლავრ გავლენას ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმდინარეობაზე. თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის სათავეში განსხვავებული შეხედულებების ლიდერების ყოფნის მიუხედავად, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპები არ იცვლება. ლიდერთა სტილისა და შეხედულებების მიხედვით მიმდინარეობს გარკვეული ტაქტიკური ადაპტაცია, საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების შესაბამისად. დღევანდელი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაც ეფუძნება, ერთი მხრივ, ისტორიულ განგრძობადობას ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში და იმავდროულად, პრეზიდენტ მაკრონის პირად შეხედულებებსა და აღქმებს. საფრანგეთის დღევანდელი საგარეო პოლიტიკა ხასიათდება დამოუკიდებლობითა და ღიაობით, რომლებიც ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და უკავშირდება პოლიტიკურ კონსენსუსს, რომელიც „დე-გოლი-მიტერანის დოქტრინის“ სახელწოდებითაა ცნობილი (Alarcón, 2014).

დიალბა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საფრანგეთი მიიჩნევს, რომ ის არ უნდა განცალკევდეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისგან და გლობალური დღის წესრიგი მისი ჩართულობით უნდა ყალიბდებოდეს. საფრანგეთი ღია ეკონომიკური კავშირებისა და ინვესტიციებისათვის. მისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციები და მულტილატერალიზმი, თუმცა აქაც საკუთარ როლს ხედავს არა როგორც უბრალოდ მონაწილს, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური დღის წესრიგის აქტიური შემოქმედის (Alarcón, 2014). საფრანგეთს აქვს ამბიციური თავად იყოს დიალოგისა და მშვიდობის მიღწევის მთავარი მოთამაშე მსოფლიოში, როგორც ძლიერი ევროპული სახელმწიფო, ხოლო ევროკავშირი უნდა იყოს გავლენიანი დამაბალანსებელი ძალა (Emmanuel Macron in His Own Words, 2019). ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პრეზიდენტ მაკრონის ინიციატივით შექმნილი პარიზის მშვიდობის ფორუმი (Duclos, 2020). საფრანგეთი თავს მიიჩნევს პარიზის კლიმატის ცვლილებების შეთანხმების ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ და აქტიურად უწყევს ადვოკატირებას მსოფლიოში კლიმატის ცვლილებების საკითხის პრიორიტეტულობას (Tertrais, 2017).

დამოუკიდებლობა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მწვერვალია და, პრაქტიკულად, ყველა მის ლიდერს ახასიათებს. საფრანგეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალიანსებისა და თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებთან, საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა. ეს დამოკიდებულება განაპირობებს საფრანგეთის საკმაოდ განსხვავებულ პოზიციებს, ერთი მხრივ, ევროკავშირისა და, მეორე მხრივ, ნატოს მიმართ. განსხვავებით სხვა ევროპული ქვეყნებისგან, საფრანგეთისთვის ნატო არ არის საფრანგეთის გლობალური სტატუსის განმსაზღვრელი ფაქტორი და ამიტომ უფრო მეტად იხრება ევროპის თავდაცვის სისტემის გაძლიერებისაკენ (Alarcón, 2014).

საფრანგეთის დამოკიდებულება ევროკავშირის პროექტის მიმართ ცალსახად ოპტიმისტურია და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პლატფორმას წარმოადგენს, თუმცა საკმაოდ კრიტიკულია კავშირის შიგნით არსებული ვითარების მიმართ და ახასიათებს ამ ვითარებას, როგორც მორალურ კრიზისს, რაც განაპირობებს მზარდ ევროსკეპტიციზმს და პოპულიზმს. საფრანგეთი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება კავშირის შიგნით. ამავ კონტექსტში, საფრანგეთი სკეპტიკურად იყო განწყობილი ევროკავშირის გაფართოების მიმართაც და მიიჩნევდა რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა არ უნდა გახდეს გაწევრიანებაზე ორიენტირებული (Emmanuel Macron in His Own Words, 2019).

ნატოს მიმართ საფრანგეთის ბოლო პერიოდის დამოკიდებულება დიდწილად განისაზღვრებოდა დამაბული ურთიერთობებით აშშ-სთან. პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის დამოკიდებულებამ ნატოსა და ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის მიმართ, გარკვეული სკეპტიციზმი გააჩინა საფრანგეთში ნატოს, როგორც ევროპის უსაფრთხოების ქოლგის, ეფექტურობის თაობაზე. შესაბამისად, პრეზიდენტ მაკრონის პრიორიტეტი ნატოდან ევროპის სამხედრო სუვერენიტეტისაკენ და ევროპის თავდაცვის სისტემის შექმნისაკენ გადაიხარა (Emmanuel Macron in His Own Words, 2019). ამ სკეპტიციზმს ამყარებდა ნატოს წევრებს შორის არაკოორდინირებული ქმედებებიც (განსაკუთრებით, თურქეთის ქმედებები სირიაში) და ნატოს გადაჭარბებული ყურადღება რუსეთის მიმართ. იმავდროულად, ნატოს ზოგიერთი წევრის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, გადაჭარბებული ფოკუსი აშშ-ზე ევროპული სუვერენიტეტისთვის დამაზიანებლად მიაჩნდა (Stewart, 2021).

ორაზროვნებით ხასიათდება საფრანგეთის მოქმედი ხელისუფლების ცალკეული შეხედულებებიც საგარეო პოლიტიკაში, რაც უმეტესწილად განპირობებულია შიდა პოლიტიკური კონტექსტით, თუმცა იმავდროულად, პოზიციების ორაზროვნება ასევე აძლევს საფრანგეთს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მოქნილობის შენარჩუნების შესაძლებლობას. საფრანგეთის ბოლო პერიოდის პოლიტიკა რუსეთის მიმართ გარკვეული ორაზროვნებით ხასიათდებოდა (Alarcón, 2014). საფრანგეთი იხრებოდა რუსეთთან დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებისკენ. ერთი მხრივ, საფრანგეთი ცდილობდა რუსეთი ევროპულ სივრცეში დაებრუნებინა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ დიალოგის წარმართვით ცდილობდა პროცესზე გარკვეული გავლენის მოხდენას (Duclos, 2020). საფრანგეთი ემხრობოდა რუსეთთან დიალოგის განვითარების ნატოს ფორმატშიც და მიიჩნევდა, რომ ეს უფრო მეტ

გარანტიებს მისცემდა ევროპულ უსაფრთხოებას. იმავდროულად საფრანგეთი მიიჩნევდა, რომ რუსულ-ევროპული დიალოგი შეასუსტებდა შესაძლო ჩინურ-რუსულ ალიანსს, ხოლო ევროპას ნაკლებად დამოკიდებულს გახდიდა აშშ-ზე, როდესაც საქმე ეხება ევროპის უსაფრთხოების საკითხებს (Stewart, 2021).

რუსეთთან თანამშრომლობის პოლიტიკა განსაკუთრებულად წარმატებული არ ყოფილა პრეზიდენტ მაკრონის მმართველობის პერიოდში. სხვადასხვა ფორმატში გამართული რამდენიმე შეხვედრის გარდა, დიალოგისკენ მოწოდება, ძირითადად, რიტორიკად დარჩა. არც ევროკავშირის წევრებს შორის სარგებლობდა ეს მიდგომა დიდი მხარდაჭერით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპაში და შეიძლება ითქვას, რომ აზიანებდა კიდევ ფრანგულ-პოლონურ ურთიერთობებს (Stewart, 2021).

უკრაინის კრიზისის საწყის ეტაპზე საფრანგეთის ქმედებები სრულად შეესაბამებოდა რუსეთთან მის უკანასკნელი წლების პოლიტიკას. გერმანიის მსგავსად, საფრანგეთიც თავს იკავებდა უკრაინის სამეზობლოში რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯების კრიტიკისგან. საფრანგეთი ცდილობდა დაემტკიცებინა მისი, როგორც ლიდერის როლი ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ამიტომ, პირველმა აიღო თავის თავზე რუსეთისა და უკრაინის ლიდერებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებების მედიატორის ფუნქცია პროცესის დეესკალაციის მიზნით (Cohen, 2022). ამჟამად, გერმანიის მსგავსად, რუსეთის მიმართ საფრანგეთის პოლიტიკაც იცვლება, რაც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ქმედებებს უკავშირდება. გერმანიისგან განსხვავებით, საფრანგეთში არ გაკეთებულა განცხადება პოლიტიკის ფუნდამენტური გადახედვის შესახებ. თუმცა მსგავსად გერმანიისა, საფრანგეთმაც, მიუხედავად რუსეთის წინააღმდეგობისა, მხარი დაუჭირა ნატოს გაფართოებას და მისმა მხარდაჭერამ ასევე შესაძლებელი გახადა ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივაც რეალური გამხდარიყო ასოცირების ტრიოს ქვეყნებისათვის.

## ნატოს პოლიტიკური დღის წესრიგი და გაფართოების პოლიტიკა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დღევანდელი დღის წესრიგი და საქმიანობის არეალი გაცილებით უფრო ფართო და მრავალფეროვანია, ვიდრე ეს იყოს ორგანიზაციის შექმნის პერიოდში. ნატო გლობალური სამხედრო პოლიტიკური ალიანსია, რომლის მიზანია უზრუნველყოს საკუთარი წევრების უსაფრთხოება და თავისუფლება სამხედრო და პოლიტიკური საშუალებებით. დღეისათვის ნატო არის ყველაზე ძლიერი სამხედრო და პოლიტიკური ალიანსი მსოფლიოში და შესაბამისად, ორგანიზაციის პოლიტიკური დღის წესრიგი გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებსაც უკავშირდება. ნატოს შექმნიდან დღემდე ალიანსმა რამდენჯერმე გაიარა გაფართოებისა და რეფორმირების ეტაპები და შეიძლება ითქვას, რომ ახლაც გარკვეული განახლების პროცესში იმყოფება, რათა ორგანიზაციამ შეძლოს უფრო ეფექტური რეაგირება თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

ნატო უნდა განვიხილოთ, როგორც ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი პლატფორმა, რომლის სიძლიერე და გავლენა გლობალურ პოლიტიკურ პროცესზე დიდწილად დამოკიდებულია ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის კლიმატზე და გამოწვევების მიმართ ერთიან და კონსოლიდირებულ მიდგომებზე. ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის კლიმატი მნიშვნელოვნად შეირყა პრეზიდენტ ტრამპის კრიტიკული დამოკიდებულებების გამო ნატოს და მისი ევროპელი წევრების მიმართ. ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში გართულდა ურთიერთობები აშშ-სა და ნატოს ევროპელ წევრებს შორის. გარდა იმისა, რომ ტრამპმა ფინანსური კონტრიბუციის ახლებური გადანაწილება მოითხოვა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ნატოს მნიშვნელობა აშშ-ის უსაფრთხოებისთვის, რასაც ევროპელი ლიდერების მწვავე რეაქციები მოჰყვა. ტრამპის პოლიტიკამ გააჩინა ევროპის ლიდერებს შორის ევროპული ავტონომიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის საჭიროება. თუმცა, ამ იდეას თავად ევროპულ სახელმწიფოთა ლიდერებს შორისაც ჰყავს მოწინააღმდეგეები (Belkin, 2021).

პრეზიდენტ ბაიდენის დამოკიდებულებამ საგრძნობლად შეცვალა ალიანსის შიგნით არსებული კლიმატი. პრეზიდენტი ბაიდენი, განსხვავებით მისი წინამორბედისგან, მიიჩნევს, რომ ნატო არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, როგორც ევროპის, ისე ჩრდილო ამერიკის და ზოგადად გლობალური უსაფრთხოებისათვის



(Belkin, 2021). ნატოს ბოლო სამიტების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ალიანსის შიგნით პარტნიორობის სულისკვეთება დაუბრუნდა თავის ძველ ნიშნულს.

ნატოს 2021 წლის ბრიუსელის სამიტი მნიშვნელოვანი განახლებების ათვლის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ. დასკვნითი კომუნიკე, რომელიც ნატოს წევრი სახელმწიფოების მეთაურებმა გამოსცეს, პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა ნატოს განახლების რეფორმირების დღის წესრიგს და იმავდროულად აყალიბებს ორგანიზაციის განახლებულ შეხედულებებსა და შეფასებებს გლობალური გამოწვევების მიმართ. ეს საკითხებია: საერთაშორისო ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღი და ბალისტიკური იარაღის გამოყენებისაგან თავდაცვა, კონვენციური იარაღის კონტროლი, მასობრივი განადგურების ახალი ტექნოლოგიები, ჰიბრიდული საფრთხეები, მიგრაცია და ტრეფიკინგი, პანდემია, კლიმატის ცვლილებები, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ადამიანების უსაფრთხოება კონფლიქტურ და კრიზისულ რეგიონებში, ქალთა სრული, თანასწორი და შინაარსიანი მონაწილეობა ყველა სფეროში, კორუფცია, არაეფექტური მთავრობები და დემოკრატიის გამოწვევები, აგრესიული და ავტორიტარული სახელმწიფოები, ჩინეთისა და რუსეთის ქმედებები.

ნატოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის სულისკვეთებას მნიშვნელოვანი პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, გარკვეული პერიოდი შენარჩუნდა აზრთა სხვადასხვაობა რუსეთის საკითხის მიმართ. აშშ უფრო მეტად იხრებოდა რუსეთის მიმართ აქტიური შეკავების პოლიტიკის განხორციელებისკენ, თუმცა ევროპული სახელმწიფოები, გერმანია და საფრანგეთი, უფრო ორდონიანი მიდგომისკენ იხრებოდნენ, რაც აქტიურ დიალოგსა და იმავდროულად შეკავების პოლიტიკას მოიაზრებდა (Belkin, 2021).

2021 წლის ბრიუსელის კომუნიკეს ტექსტი თვალშისაცემად დაბალანსებულია და ორივე მიმართულებას ასახავს. ერთი მხრივ, კომუნიკე აღნიშნავს, რომ ნატო წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა რუსეთთან დიალოგის ფორმატში, თუმცა, ამის მიუხედავად, რუსეთი მნიშვნელოვანი პრობლემების წყაროდ რჩება მრავალი მიმართულებით, იქნება ეს მასობრივი განადგურების იარაღი, ჰიბრიდული საფრთხეები თუ პროვოკაციული ქმედებები. მათ შორის არის ასევე რუსეთის მხრიდან საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების ოკუპაცია/ანექსიის საკითხებიც, რომელიც ნატო დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს. მეორე მხრივ, კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ნატო მზად არის რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისათვის, თუმცა მოელის, რომ რუსეთმა უნდა გადადგას შემხვედრი ნაბიჯები და უარი თქვას თავის აგრესიულ ქმედებებზე (Brussels Summit Communiqué, 2021). აზრთა სხვადასხვაობამ რუსეთთან დამოკიდებულებაში გავლენა იქონია ასევე საქართველოს საკითხისადმიც, ნატოს წევრები ბრიუსელის 2021 წლის კომუნიკეშიც ადასტურებენ საქართველოსადმი მხარდაჭერას და ღია კარის პოლიტიკის შენარჩუნებას, თუმცა ხელშესახები პროგრესი გაწევრიანების გზაზე არ გამოიკვეთა.

2022 წლის ნატოს სამიტი, უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფონზე წარიმართა. რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა და უკრაინაში წარმოებულმა ფართომასშტაბიანმა ომმა განაპირობა ბოლო წლების განმავლობაში ევროატლანტიკური თანამშრომლობის უპრეცედენტო კონსოლიდაცია, რაც სამიტის ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებზეც აისახა. გარდა იმისა, რომ ორგანიზაციამ შეძლო მიეღო ალიანსის განახლებისა და გაძლიერების კონცეპტუალური დოკუმენტი, ცალსახად გამოიკვეთა ერთიანი და მკვეთრი პოზიცია რუსეთის ქმედებების მიმართ და რუსეთი დასახელდა როგორც მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის პრინციპული წინააღმდეგობის მიუხედავად, ნატომ მიიღო გადაწყვეტილება გაფართოების შესახებაც და მოაწერა შესაბამის პროტოკოლს ხელი (Statement by NATO Heads of State and Government, 2022).

სამიტის ფარგლებში ალიანსის ყურადღება გამახვილდა საქართველოსათვის მნიშვნელოვან კიდევ ერთ საკითხზე, კერძოდ, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე და ალიანსისთვის ამ რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. შავი ზღვის რეგიონი ტრადიციულად არის მნიშვნელოვანი კონკურენციის არეალი დასავლეთსა და რუსეთს შორის. რუსეთის ინტერესია ადაღინოს საკუთარი ისტორიული გავლენა ამ რეგიონზე და შეასუსტოს ევროატლანტიკური თანამეგობრობის გავლენები. თუმცა, ამ რეგიონის ნატოს წევრ ქვეყნებს შორისაც არაერთგვაროვანი იყო დამოკიდებულებები შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით. რუმინეთი შავ ზღვაში საზღვაო წვრთნების გაფართოების

მომხრეა, რასაც არ იზიარებდა ბულგარეთი, ხოლო თურქეთი, რუსეთთან ბოლო პერიოდში გაუმჯობესებული ურთიერთობების ფონზე, არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებისკენ იხრებოდა. არც ნატოს წევრი გავლენიანი ევროპული ქვეყნები იჩენენ დიდ ინტერესს შავი ზღვის რეგიონის მიმართ (Flanagan & Chindea, 2019; Helwig, Siddi, 2020). რეგიონში მიმდინარე ომმა და რუსეთის ქმედებებმა ამ საკითხზე იქონია გავლენა. შესაბამისად, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი ნაკლებად წინააღმდეგობრივი ჩანს დღეის მდგომარეობით. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით აშშ-ს პოზიციები. როგორც აღინიშნა, აშშ-ს კონგრესში ინიცირებულია საკანონმდებლო აქტი, რომლის მიღების შემთხვევაში აშშ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას და რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას მნიშვნელოვან პრიორიტეტად აყალიბებს.

მიმდინარე ცვლილებების მიუხედავად, რამაც სრულად მოიცვა ალიანსი, ხელშესახები პროგრესი საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა. თუმცა, ის ძირითადი ბარიერი რაც ხელს უშლიდა საქართველოს წევრობას, ფაქტობრივად მოხსნილია დღის წესრიგიდან, რაც გამოიწვია კიდევ შვედეთისა და ფინეთის დაჩქარებული წესით ალიანსში გაწევრიანების პროცესში. იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეუქცევადია ნატოში მიმდინარე ეს ცვლილებები რთული სათქმელია, თუმცა, არსებული გამოწვევების ფონზე, შესაძლოა გაჩნდეს საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების ახალი შესაძლებლობები.

## ევროკავშირის სამეზობლო და გაფართოების პოლიტიკა

ევროკავშირი ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და სტრუქტურულად რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებაა, რომელიც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეტაპობრივად ვითარდება და ფართოვდება. დღეისათვის ის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებას, მძლავრი ეკონომიკური შესაძლებლობებითა და პოლიტიკური გავლენებით მთელ მსოფლიოში. ევროკავშირს, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მრავალ განზომილებიანი და მრავალფეროვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური დღის წესრიგი აქვს. ეს დღის წესრიგი მოიცავს როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს, ასევე ერთიანი ევროპული სტრუქტურების და ინსტიტუტების საქმიანობას, ერთიანი ევროპული პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრასა და მის პოზიციონირებას გლობალურ სისტემაში.

ევროკავშირის, როგორც გლობალური აქტორის, დღის წესრიგი, ბუნებრივია, მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა გლობალური უსაფრთხოება და კრიზისები, ადამიანის უფლებები და დემოკრატია, კლიმატის ცვლილებები, გარემოს დაცვა, ენერგოუსაფრთხოება, დევნილები და მიგრაციასთან დაკავშირებული კრიზისები, ჰუმანიტარული კრიზისები, თანამშრომლობა განვითარების სფეროში, ეკონომიკური განვითარება და სხვა. ევროკავშირის გლობალურ დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მის სამეზობლო პოლიტიკას, რომელსაც რამდენიმე განზომილება განსაზღვრავს. ევროპა დაინტერესებულია მის მოსაზღვრე რეგიონებში სტაბილურობითა და მშვიდობიანი, დემოკრატიული გარემოს ფორმირების ხელშეწყობით და ამავდროულად ხელს უწყობს იმ ფუნდამენტური ღირებულებების გავრცელებას, რომლებიც თავად ევროკავშირის საფუძველს ქმნის.

ევროკავშირი, როგორც ორგანიზაციის შიგნითაც და ისე მის ფარგლებს გარეთაც განიხილება, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატებული მოდელი. თუმცა, ბოლო პერიოდის განმავლობაში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მზარდი ევროსკეპტიციზმი, რომელსაც იმავდროულად რადიკალური მემარჯვენე და მემარცხენე მოძრაობების გაძლიერებაც დაერთო, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ევროპული პროექტის წარმატებას. ბრექსიტით გამოწვეულმა მოულოდნელობამ ერთგვარად შეარყია კავშირის ერთიანობისა და ურყეობის იდეა.

მნიშვნელოვანია დავინახოთ თავად ევროკავშირი და ის სისტემა და თავისებურებები, რომლის ზეგავლენითაც ყალიბდება ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური დღის წესრიგი. ამ შემთხვევაში

პრინციპულად მნიშვნელოვანია ორი ძირითადი განზომილება, რომელიც ქმნის ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების გარემოს. ერთი მხრივ, ეს არის ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კავშირის ფუნქციონირებაზე და მის განვითარებაზე, მათ შორის, ევროკავშირის საერთაშორისო როლზე. თუმცა, იმავდროულად, ყველა პრინციპული გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ინსტანცია არის ევროკავშირის საბჭო, რომელიც, ბუნებრივია, არის ევროკავშირის უმაღლესი სტრუქტურული ერთეული და შედგება წევრი სახელმწიფოების ლიდერებისაგან. ლიდერები, პირველ რიგში, ანგარიშვალდებული არიან საკუთარი ქვეყნის ამომრჩევლის წინაშე და შესაბამისად, საკუთარ გადაწყვეტილებებში დიდწილად ხელმძღვანელობენ თავიანთი ეროვნული ინტერესებით და ამოცანებით. არის მესამე განზომილებაც, რომელიც ასევე გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესზე კავშირის შიგნით, როგორც ევროპულ ინსტიტუტებზე, ისე ეროვნულ პოლიტიკაზე. ეს არის პოლიტიკური ჯგუფები, როგორც ეროვნულ პარლამენტებში ისე ევროპარლამენტშიც. კერძოდ, ესენია რამდენიმე გავლენიან პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც დომინირებენ ევროპარლამენტში და ასევე, გარკვეულ კოორდინაციაში არიან ეროვნულ დონეზე მოქმედ პოლიტიკურ ჯგუფებთან და ერთობლივად ქმნიან ევროპულ პოლიტიკურ ოჯახებს. ევროპული პოლიტიკის ამ სუბიექტებს შორის, არის როგორც კოორდინაცია, ისე აზრთა სხვადასხვაობაც. შესაბამისად, ევროკავშირის პოლიტიკის და მისი პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე ყველა ეს განზომილება მოქმედებს და გადაწყვეტილებებიც ამგვარი რთული კონფიგურაციის პირობებში მიიღება.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულება, სადაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გავლენული ზღვარი ევროკავშირის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას შორის. მათ შორის არაერთგვაროვანია დამოკიდებულება ევროკავშირის შემდგომი გაფართოების მიმართაც. როგორც წინა თავებში აღინიშნა, გარკვეული სკეპტიციზმი გაფართოების პოლიტიკის მიმართ ევროკავშირის ეკონომიკურად და პოლიტიკურად გავლენიან წევრ სახელმწიფოებს ახასიათებდათ.

თუმცა ისეთ საკითხებში, როგორიცაა საქართველოსთან თანამშრომლობა ასოცირების შეთანხმების და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირში სრული კონსენსუსია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ თუკი საქართველოსთვის თანამშრომლობის ორივე ფორმატი გაწევრიანების პროცესის მდგენელებია, ევროკავშირი და მისი წევრები ამ ფორმატებს განიხილავენ, როგორც საქართველოს დემოკრატიული განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებისა და ევროკავშირთან დაახლოების, მაგრამ არა წევრობის, ინსტრუმენტებს.

როგორც აღინიშნა, ევროკავშირმა დადებითად შეაფასა ასოცირებული ტრიოს (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) ჩამოყალიბება და მიესალმა რეგიონული ფორმატის დაარსებას. თუმცა, ევროკავშირი სიფრთხილეს იჩენდა ასოცირებული ტრიოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი კვლავ რჩება რეგიონის ქვეყნებთან ევროკავშირის ურთიერთობის პრიორიტეტულ ჩარჩოდ, რაც დასტურდება ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ინვესტირების გეგმის შემუშავებით, რაც მიზნად ისახავს რეგიონული რეფორმების კიდევ ერთი ტალღის სტიმულირებას.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შედეგად ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა, როგორც ევროკავშირში ისე მის წევრ სახელმწიფოებში. გაჩნდა უნიკალური შესაძლებლობა კვლავ დამდგარიყო დღის წესრიგში კავშირის გაფართოების საკითხი. არსებულ სიტუაციაში ჯერ უკრაინამ, შემდეგ ასოცირებული ტრიოს დანარჩენმა ორმა წევრმა სახელმწიფომ წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე. ევრო კავშირის და მისი ინსტიტუტების, ისევე როგორც ევრო კავშირის წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებით ასოცირების ტრიოს ქვეყნებს მიენიჭათ გაწევრიანების პერსპექტივა, ხოლო მოლდავეთი და უკრაინას კი დამატებით მიენიჭათ კანდიდატის სტატუსი. საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭება ევროკავშირის მიერ განსაზღვრული წინაპირობების შესრულების შემდეგ. ეს სრულებით ახალი მოცემულობაა საქართველოსათვის და პრაქტიკულად რეალიზებადს ხდის საქართველოს ერთ-ერთ უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანის, როგორიცაა ევროკავშირში

გაწევრიანების რეალიზებას, თუმცა ამისათვის მნიშვნელოვანი შიდა რეფორმების განხორციელება იქნება საჭირო.

## დასკვნა

წინამდებარე მიმოხილვამ წარმოაჩინა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც საქართველოს საგარეო სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს და რასაც ეფუძნება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი და შესაბამისი საგარეო სტრატეგიული კომუნიკაცია. კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციები მიზნად არ ისახავს პასუხები გაეცეს პოლიტიკასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემასა და ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს, მაგრამ მასში ხაზგასმულია ის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ კვლევას და უფრო ყოვლისმომცველი და იმავდროულად ფოკუსირებული და მორგებული მიდგომების შემუშავებას.

მიმოხილვა მოგვჩვენებს დაგვედგინა, როგორც თანმიმდევრულობა ისე შეუსაბამობები, ერთის მხრივ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგსა და, მეორე მხრივ, ამ დღის წესრიგის მიმართ ქვეყნის პარტნიორების დამოკიდებულებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ეხებოდა კონკრეტულ ქვეყნებსა და ორგანიზაციებს - აშშ-ს, გერმანიას, საფრანგეთს, ევროკავშირსა და ნატოს, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც დოკუმენტშია მოცემული, შეიძლება განზოგადდეს და ადაპტირდეს სხვა ქვეყნებსა და რეგიონებზეც.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მიმართ აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, ნატოსა და ევროკავშირის, ასევე ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს უპირობო მხარდაჭერა საქართველოს დიპლომატიური ძალისხმევის ცალსახად მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველო ეწევა ინტენსიურ დიპლომატიურ საქმიანობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების უზრუნველსაყოფად. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპის მხარდაჭერა არა მხოლოდ კონკრეტულად საქართველოს მხარდაჭერის მოტივით არის განპირობებული, არამედ ეს არის საერთაშორისო აღიარებული პრინციპების ერთგულების დემონსტრირება, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე დემოკრატიული თანამეგობრობისთვის და მთლიანად საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის დასაცავად.

ოკუპაციისა და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების მიმართ უკანასკნელი წლების განმავლობაში პოზიციები მცირედით განსხვავებული იყო პარტნიორებს შორის. აშშ-ის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით სრულ თანხვედრაშია საქართველოს ინტერესებთან. აშშ არ ერიდება რუსეთის ქმედებების მკაცრ შეფასებებს. გერმანიისა და საფრანგეთის შემთხვევაში ტონი შედარებით შერბილებული იყო. ნატოსა და ევროკავშირის პოზიციებიც დიდწილად დამოკიდებულია თავად წევრებს შორის არსებულ პოზიციებზე. თუმცა, გერმანიისა და საფრანგეთის რბილი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით ეტაპობრივად შეიცვალა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად. გერმანიის მთავრობამ ღიად განაცხადა, რომ რუსეთთან დაკავშირებით ქვეყნის პოლიტიკა ძირითადად გადაიხედება. საფრანგეთის პოლიტიკაშიც ამკარაა ცვლილებები თუმცა მსგავსი ისტორიული შემოტრიალების შესახებ განცხადება ჯერ ჯერობით არ გაკეთებულა. როგორც მიმოხილვაში ჩანს საქართველოს ერთ-ერთ საგარეო პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაცია, რასაც გარკვეული მხარდაჭერაც კი ჰქონდა ქვეყნის დასავლელი პარტნიორების მხრიდან. დღეს დასავლეთსა და რუსეთს შორის უკიდურესად დამაბული ურთიერთობების ფონზე, ეს ამოცანა არარელევანტურად გამოიყურება. შესაბამისად, საქართველომ, საგარეო პოლიტიკური დოკუმენტების რევიზიის პროცესში, უნდა გაითვალისწინოს არსებული გეო-პოლიტიკური ვითარება და ჩამოაყალიბოს რუსეთთან მიმართებაში ახლებური მიდგომები.

თანამშრომლობას საქართველოსა და აშშ-ს შორის ორივე მხარე უწოდებს სტრატეგიულ პარტნიორობას. თანამშრომლობის დღის წესრიგიც, შესაბამისად, მრავალფეროვანია და საკმაოდ სტრუქტურირებულიც. თუმცა, როგორც მიმოხილვიდან იკვეთება, არის კონკრეტული საკითხები, რომლებთან მიმართებითაც მხარეების შეხედულებები ასიმეტრიულია. კერძოდ, საქართველო უმთავრესად ამხვილებს ყურადღებას თავდაცვა-უსაფრთხოების საკითხებზე და ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე, ხოლო აშშ-ის მხრიდან განსაკუთრებულ პრიორიტეტად იკვეთება დემოკრატიული რეფორმები, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტების ამგვარი იერარქია აშშ-ის მხრიდან არ არის ახალი. მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის ქვეყნის სათავეში, დემოკრატიული რეფორმები ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ორმხრივი თანამშრომლობის განსაკუთრებული პრიორიტეტია.

როგორც მიმოხილვისას გამოიკვეთა, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ცენტრალურ საკითხად დასახელებულია დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. შესაბამისად, ყველა ძირითადი პოლიტიკის საკითხი თუ გლობალური გამოწვევა ამ პერსპექტივიდან არის შეფასებული და დანახული. ტრადიციულად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ საკითხებს გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებშიც და გარდა ამისა, წარმოადგენს ნატოსა და ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის აუცილებელ წინაპირობასაც. დემოკრატიულ რეფორმებს, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგშიც. ეს საკითხები ასახულია სახელმწიფო პოლიტიკურ დოკუმენტებშიც. ეს ის სფეროა, სადაც ქვეყნის შიდაპოლიტიკური პროცესები ძალზე მჭიდროდ არის გადაჯაჭვული საგარეო-სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციასთან. შესაბამისად, ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ საქართველოს დასავლელი პარტნიორები და მათგან დღეს მიმდინარე კრიტიკამ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, მათ შორის პოლიტიკურ პოლარიზაციასთან, სასამართლო სისტემის რეფორმთან, უმცირესობების დაცვასთან და სხვა, შესაძლებელია მნიშვნელოვნად დააზიანოს საქართველოს ურთიერთობები დასავლელ პარტნიორებთან და ფუნდამენტური ბარიერი გახდეს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ამოცანების მიღწევის გზაზე. ამიტომ ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და ინსტიტუციური დემოკრატიისაკენ თანმიმდევრული სვლა საგარეო კომუნიკაციის განსაკუთრებულ პრიორიტეტად უნდა იქცეს და მოექცეს დღის წესრიგის სათავეში.

ქართულ-ფრანგული და ქართულ-გერმანული ურთიერთობები მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობისგან, თუმცა, ეს ურთიერთობებიც პრინციპული მნიშვნელობისაა საქართველოსათვის და უკავშირდება მისი სტრატეგიული ამოცანების რეალიზაციას. მიმოხილვიდან ჩანს, რომ ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგის სიმწირის გამო, საქართველო ამ ეტაპზე ვერ ექცევა ამ ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების არეალში. ამასთან, გერმანიაც და საფრანგეთიც წარმოადგენდნენ საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებს. ნაბიჯები, რომლებიც უკვე გადაიდგა ორმხრივი და სამხრივი თანამშრომლობის ფორმატების შექმნის თვალსაზრისით, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯებია, მაგრამ საჭიროა დიალოგის ფორმატების დატვირთვა უფრო კონკრეტული და პრაქტიკული საკითხებით, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოს ინტერესებზე იქნება ორიენტირებული, არამედ გაითვალისწინებს საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებსაც.

ტრადიციულად საფრანგეთი და გერმანია განასხვავებენ თავიანთ მიდგომებს ევროკავშირსა და ნატოს მიმართ. საფრანგეთი ამ ურთიერთობებს გარკვეული თვალსაზრისით ურთიერთ წინააღმდეგობრივადაც კი ხედავდა. კერძოდ, ნატოს, როგორც ევროპის უსაფრთხოების ქოლგის მიმართ საფრანგეთის სკეპტიციზმის საპასუხოდ, თავად საფრანგეთი ბოლო დრომდე ევროპული თავდაცვის სისტემის განვითარებაზე საუბრობდა. გერმანიის დამოკიდებულება ნატოსა და ევროკავშირის მიმართ, რა თქმა უნდა, ნაკლებად წინააღმდეგობრივია, თუმცა გერმანიისთვისაც ნატო და ევროკავშირი განსხვავებული კონცეფციებია. შესაბამისად, ეს თავისებურებები საქართველოს საკომუნიკაციო სტრატეგიაში უნდა აისახოს. აუცილებელია ევროატლანტიკური პროექტის არა როგორც საქართველოს დასავლური

**მისწრაფებების ერთიანი პროექტის პოზიციონირება, არამედ ამ ორი მიმართულების განცალკევება, განსხვავებულად არგუმენტირება და კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის განხორციელება ერთის მხრივ ნატოსა და მეორე მხრივ ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.**

მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომლობას დემოკრატიულ სახელმწიფოებთან გლობალური გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის თვისებრივი გადაზრება, და ნაბიჯები რომელებიც უკვე გადაიდგა, როგორც ნატოს სამიტების ისე დიდი შვიდეულის შეხვედრების ფარგლებში. რუსეთის უკრაინაში შეჭრის ფონზე ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის კლიმატი ცალსახად გაუმჯობესდა და აშკარაა ალიანსის სრული კონსოლიდაციის პროცესი.

საქართველოს ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ორ მნიშვნელოვან განზომილებაზე. პირველი, ეს არის თავად ნატო და ევროკავშირი, როგორც ორგანიზაციები, საკუთარი სტრუქტურებითა და ინსტიტუტებით, რომლებთან თანამშრომლობის ფარგლებშიც საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესს განიცდის. მეორე განზომილებას ქმნიან წევრი სახელმწიფოები, რომელთა გადაწყვეტილებები უმეტესად დაფუძნებულია საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე.

არც ერთი ორგანიზაციის ფარგლებში საქართველოს გაწევრიანების საკითხზე კონსენსუსი ბოლო პერიოდამდე არ არსებობდა. თუმცა რუსეთის მხრიდან აშკარა აგრესიის პირობებში, სახეზეა ვითარების მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. კერძოდ, ევროკავშირის გაფართოების კუთხით უკვე მიღებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია თუ რამდენად ახალი გეოპოლიტიკური ვითარება აისახება ნატოს გაფართოების პერსპექტივებზეც. ჯერჯერობით ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით ახლებური პოზიციები არ დაფიქსირებულა არც ნატოს ხელმძღვანელობის და არც გერმანია-საფრანგეთის ლიდერების მხრიდან, თუმცა არც საქართველოს მხრიდან შეინიშნებოდა ამ მიმართულებით აქტიურობა ბოლო თვეების განმავლობაში.

სამთავრობო გეგმის მიხედვით, საქართველოს 2024 წლისთვის უნდა წარედგინა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. თუმცა, უკრაინის მოვლენებმა დააჩქარა პროცესები და ქვეყანამაც უკვე გააკეთა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე ასოცირებული ტრიოს დანარჩენ წევრებთან ერთად. აშკარაა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და მიმდინარე ომმა შექმნა ისტორიული იმპულსი, გააჩინა ახალი შესაძლებლობები არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ საქართველოსა და მოლდოვისთვისაც. ბოლო წლების განმავლობაში არსებობდა მოსაზრება, რომ ევროკავშირი არ არის მზად გაფართოებისათვის; ამასგარდა, არსებობდნენ საქართველოს გაწევრიანების საკითხის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნები. დღეს უკვე ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მიენიჭა გაწევრიანების პერსპექტივა და ბოლო ნაბიჯია გადასადგმელი კანდიდატის სტატუსი მისაღებად. თუმცა აქ უკვე აღსანიშნავია, რომ შემდგომი პროგრესის მისაღწევად აუცილებელია შიდა პოლიტიკური ვითარების დასტაბილურება და თვისობრივი რეფორმების განხორციელება ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით. კერძოდ, **აუცილებელია ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად დადგენილი 12 პუნქტიანი წინაპირობების თვისობრივი რეალიზება. აღნიშნული პუნქტები რა თქმა უნდა პირველ რიგში ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება, თუმცა მათ გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით ხელშესახები პროგრესის უზრუნველყოფა. ამასთან აუცილებელია ევროკავშირში გაწევრიანების კუთხით ახალი ორიენტირებისა და ტაქტიკური ამოცანების დასახვა. მათ შორის გაწევრიანების გეგმის რაც შეიძლება მალე მიღება და გაწევრიანების პროცესის დაწყება.**

როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთისა და გერმანიის სკეპტიციზმი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობდა თავად ევროპაში არსებული სირთულეებიდან, მათ შორის, მზარდი ევროსკეპტიციზმიდან, დღეს შეიძლება ითქვას, რომ უკვე აღარ დგას დღის წესრიგში. ამის მიზეზი უკრაინაში რუსეთის შეჭრისგან შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური ვითარებაა, რამაც გააჩინა ერთგვარი შესაძლებლობების ფანჯარა, პირველ რიგში უკრაინისათვის და ასევე საქართველოსა და

მოლდოვისთვის. ეს არის დღეს არსებული ისტორიული შესაძლებლობა, რომელიც საქართველომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს, რადგანაც ცვალებად გლობალურ და რეგიონალურ პოლიტიკურ ვითარებაში არ არის გამორიცხული რომ ეს შესაძლებლობის ფანჯარა საქართველოსათვის გარკვეული ეტაპის შემდეგ დაიხუროს.

მნიშვნელოვანია რომ საქართველომ საკუთარი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ევროკავშირის ინტეგრაციის მიმართულებით მოამზადოს და განახორციელოს ასოცირების ტრიოს ქვეყნებთან მჭიდრო კოორდინაციით. ასევე ინტეგრაციის საკითხის ადვოკატირების პროცესშიც, საქართველომ უნდა მოახდინოს ევროკავშირის შიგნით არსებული მხარდამჭერი ქვეყნების კონსოლიდაცია. საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ფართო ევროპული მხარდაჭერა, ხელს შეუწყობს ინტეგრაციული პროცესების ეფექტურობას და დინამიურობას.

ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით ეფექტური საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ასევე ევროკავშირისთვის დამახასიათებელი სპეციფიკაც, რომელიც მრავალდონიანი და მრავალგანზომილებიანი გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურაში მდგომარეობს. თითოეულ ამ განზომილებას აქვს საკუთარი როლი და გავლენა ევროკავშირის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამიტომაც აუცილებელია კომუნიკაციის სტრატეგია თითოეული ამ განზომილებისთვის ტაქტიკურ ნაბიჯებს მოიაზრებდეს.

გლობალური და რეგიონალურ გეოპოლიტიკური ცვლილებები, როგორც აღვნიშნეთ, აისახა ნატოს და ზოგადად ტრანსატლანტიკური პარტნიორობის საერთო კლიმატზე. თუმცა ამ მიმართულებით ხელშესახები პროგრესი საქართველოსათვის ჯერ არ შეიმჩნევა. ტრადიციულად საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე გერმანია და საფრანგეთი გვეკლინებოდნენ ვერეთ წოდებულ სკეპტიკურ ქვეყნებად. საფრანგეთის სკეპტიციზმს ორი გარემოება განსაზღვრავდა. პირველი, ეს იყო. თავად საფრანგეთის კრიტიკული დამოკიდებულება ნატოსა და ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის მიმართ, რაც მთლიანად შეიცვალა რუსეთის აგრესიის ფონზე. პრეზიდენტი მაკრონი დღეს უკვე საუბრობს ალიანსის სტრატეგიულ განახლებაზე, თუმცა მანამდე იგი ნატოს „ტვინ-მკვდარ ორგანიზაციადა“ მოიხსენიებდა.

მეორე გარემოება გახლდათ, საფრანგეთის მცდელობები არ გაემწვავებინა რუსეთთან ურთიერთობები ნატოს გაფართოების საკითხის გამო და უფრო მეტიც, რუსეთი ჩაერთო დიალოგში ნატოსთან. რუსეთის ფაქტორის გავლენა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სკეპტიციზმთან დაკავშირებით გერმანიის შემთხვევაშიც ანალოგიური იყო. თუმცა რუსეთის აგრესიის ფონზე გერმანიისა და საფრანგეთის წარუმატებელმა მცდელობებმა, რომელიც დიპლომატიური ინსტრუმენტების გამოყენებით დეესკალაციას ისახავდა მიზნად, ცალსახად შეცვალა, როგორც ბერლინში, ასევე პარიზში რუსეთთან დიალოგისა და პარტნიორობის შენარჩუნების იდეა. დღეს უკვე ამკარაა, რომ რუსეთის ფაქტორი ვეღარ იქნება შემაკავებელი ნატოს გაფართოებისათვის. ამის მაგალითია რუსეთის პრინციპული წინააღმდეგობის მიუხედავად შვედეთისა და ფინეთის ალიანსში გაწევრიანების გადაწყვეტილების მხარდაჭერა, როგორც გერმანიის ისე საფრანგეთის მხრიდან.

პოლიტიკის მიდგომებში ამგვარი ცვლილებები, რასაკვირველია, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ გერმანია და საფრანგეთი გადახედავენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხისადმი საკუთარ დამოკიდებულებას. მაგრამ ასეთ ტრანსფორმაციულ პოლიტიკურ გარემოში საქართველომ უნდა ისარგებლოს შესაძლებლობით და სტრატეგიულ კომუნიკაციაში სათანადოდ გაითვალისწინოს გლობალური თანამშრომლობის ახალი იმპულსები, რათა ქვეყნის ინტეგრაციის საკითხი მოხვდეს ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ფართო დღის წესრიგში. ამ მიზნით საქართველომ უნდა ისარგებლოს აშშ-სთან მისი სტრატეგიული პარტნიორობით და მოახდინოს სხვა მხარდამჭერი ქვეყნების კონსოლიდაცია.

თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარება უდავოდ პრიორიტეტული საკითხია საქართველოსთვის და ცენტრალური ადგილი უკავია საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაშიც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ საკითხის შენარჩუნება ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებშიც.

საქართველოს წვლილი გლობალურ უსაფრთხოებაში ნამდვილად არის ის საკითხი, რომელიც პარტნიორების პოზიტიურ შეფასებებს იმსახურებს. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ აშშ-ის მხრიდან ხდება მიდგომების მნიშვნელოვანი გადააზრება. აშშ საკუთარი პოლიტიკური გავლენის ცენტრალურ ინსტრუმენტად განიხილავს დიპლომატიას და დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას ერთიან ფრონტად. აშშ და, შესაბამისად, ნატო ამცირებენ სამხედრო კონტინგენტს სამშვიდობო მისიებში, რაც უკვე განხორციელდა ავღანეთის შემთხვევაში.

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიამ გლობალური უსაფრთხოების ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. შედეგად მოსალოდნელია, რომ გადაიხედოს რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების საკითხები. რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა სახე მიეცემა უსაფრთხოების სისტემების ახალ კონფიგურაციას და რა ცვლილებები შევა მათში. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს და თავისი წვლილი შეიტანოს ამ პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მხრიდანაც მოხდეს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში საკუთარი როლის გადააზრება და საერთაშორისო პარტნიორებთან ახლებური კომუნიკაციის ჩამოყალიბება.

რეგიონალური უსაფრთხოების კუთხით ნიშანდობლივია აშშ-ს კონგრესში ინიცირებული ორპარტიული აქტი შავი ზღვის უსაფრთხოების თაობაზე, რომლითაც გამოიხსნა აშშ-ს მხრიდან უფრო აქტიური პოლიტიკის განხორციელება, თავდაცვის და უსაფრთხოების მექანიზმებთან ერთად ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის ნატოსა და ევროკავშირის მონაწილეობით საქართველოსთან. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების საკითხს და პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით, დააჩქაროს შავი ზღვის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება როგორც ეს განსაზღვრულია სამთავრობო პროგრამით.

საქართველოს მიდგომები საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით უმთავრესად ეყრდნობა საქართველოში რეგიონული ეკონომიკური ჰაბის შექმნის იდეას, შესაბამისი ინფრასტრუქტურული და ლოჯისტიკური პროექტების რეალიზებითა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმების შექმნით, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან. სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაში იკვეთება როგორც ინტერესთა თანხვედრა აშშ-სთან, ისე გარკვეული აცდენა ამჟამინდელი ადმინისტრაციის მიდგომებთან. კერძოდ, როგორც მიმოხილვიდან ჩანს, გამოჩნდა გარკვეული შესაძლებლობების ფანჯარა საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების თვალსაზრისით. აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაცია უფრო გახსნილია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისადმი, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანი წინაპირობებია ადამიანის უფლებების (მათ შორის, შრომითი უფლებების) და გარემოს დაცვითი მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა. იმავდროულად, აშშ ექვ ქვეყნს აყენებს ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების საკითხს და ჩინეთს საერთაშორისო სავაჭრო ნორმებისა და ადამიანის უფლებების დამრღვევად მიიჩნევს. საქართველოს კი ჩინეთთან უკვე აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ამ შეთანხმებას საქართველოში დასავლური კომპანიებისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობად წარმოაჩენს.

აშშ კრიტიკულია ჩინეთის მიერ ინიცირებული გლობალური სატრანსპორტო ლოჯისტიკური პროექტის Belt and Road Initiative-ის მიმართ, რომელშიც საქართველო აქტიურად არის ჩართული. დასავლეთი აშშ-ის თაოსნობით მუშაობს ალტერნატიული გლობალური ეკონომიკური პროექტების შემუშავებაზე, რომლებიც უნდა მოემსახუროს როგორც ეკონომიკის გაჯანსაღებას, ისე ჩინური ინიციატივის ალტერნატიული პროექტების შექმნასა და ამით შეასუსტოს ჩინეთის მზარდი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენები მსოფლიოში. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მიდგომები გადაიხედოს ამ ახალი გარემოებების გათვალისწინებით და უფრო მეტად ფოკუსირდეს აშშ-ისა და დიდი შვიდეულის მიერ ინიცირებულ ეკონომიკურ პროექტებზე. ქვეყანა უნდა შეეცადოს უზრუნველყოს მათში საქართველოს ჩართულობა. ამისათვის აუცილებელია, რომ საქართველომ პარტნიორებთან კომუნიკაციისას არა მხოლოდ ზოგადად საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობებზე ისაუბროს, არამედ მიზანმიმართულად, კონკრეტული მასშტაბური რეგიონალური და ტრანსნაციონალური პროექტების შეთავაზების მეშვეობით იმუშაოს



მსხვილი ფინანსური და ინდუსტრიული ჯგუფების მოზიდვაზე საქართველოს ეკონომიკაში, თუნდაც თანაინვესტირების პირობებით სახელმწიფოს მხრიდან, იქნება ეს ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, ფინანსური სექტორი თუ სხვა სფეროები. ამერიკული, ფრანგული, გერმანული თუ სხვა დასავლური ქვეყნების დიდი კაპიტალის საქართველოში შემოდინება ხელს შეუწყობს, პირველ რიგში, ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და იმავდროულად უზრუნველყოფს ინტერესთა უფრო მჭიდრო გადაკვეთას და მეტ მდგრადობას თანამშრომლობაში.

ქვეყნები საკუთარ საგარეო-პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე აყალიბებენ, თუმცა ყველა პარტნიორი ქვეყნის შემთხვევაში საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გლობალური დღის წესრიგის მიმართ ამ ქვეყნების დამოკიდებულებს. თითოეული თანამედროვე დემოკრატიული ქვეყანა საგარეო ასპარეზზე პოზიციონირებს, როგორც საერთაშორისო სისტემის კონტრიბუტორი და ცდილობს გამოახოს ბალანსი და თანხვედრა ეროვნულ ინტერესებსა და გლობალურ გამოწვევებს შორის. საქართველოც იმისათვის, რომ თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების რიგში აღმოჩნდეს, თავის საგარეო სტრატეგიის კომუნიკაციის ფარგლებში უნდა პოზიციონირებდეს, როგორც გლობალური მოთამაშე, კონტრიბუტორი გლობალური დღის წესრიგის ფორმირებასა და განხილვებში და არა მხოლოდ საკუთარი ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული საერთაშორისო სუბიექტი. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო საერთაშორისო სისტემაში იყოს აქტიური ადვოკატი ისეთი თემების, რომლებიც გლობალური პოლიტიკური დღის წესრიგის ცენტრშია და ასევე თავმოყრილია საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციაშიც და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში. ესენია: საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალური დანაშაულთან ბრძოლა, მასობრივი იარაღის გაუზრცელებლობა, ენერჯეტიკული უსაფრთხოება და გარემოს დაცვა, კიბერუსაფრთხოება, დეზინფორმაცია და ჰიბრიდული საფრთხეები.

როგორც მიმოხილვაში აღინიშნა, საქართველოს საგარეო კომუნიკაციის კამპანია შედგება შვიდი მიმართულებისგან, რომლებიც შეესაბამება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანებს. თითოეულ ამ მიმართულებას თან ახლავს ცალკე საკომუნიკაციო კამპანია, თავისი გზავნილებით, საკითხების ჩამონათვალით და სამოქმედო გეგმით. საქართველოსთვის, მისი საელჩოებისა და მისიების ლიმიტირებული რესურსების, ასევე საკმაოდ გადატვირთული საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგის გათვალისწინებით, შვიდი ერთმანეთისაგან იზოლირებული კამპანიის წარმართვა რთული საკომუნიკაციო ამოცანაა და შესაძლოა ვერ გამოიღოს მოსალოდნელი შედეგი. ამასთან, უნივერსალური კამპანიის ფორმატი, რომელშიც ნაკლებად არის გათვალისწინებული ცალკეული ქვეყნებისა და სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების სპეციფიკა და ინტერესები, ართულებს კამპანიის ამოცანების რეალიზების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა სტრატეგიული მიზანი და ამოცანა ერთიანი კამპანიის ფარგლებში მოექცეს მით უმეტეს, რომ ეს საკითხები სავსებით თავსებადია ერთმანეთთან. მიზანშეწონილია, რომ კამპანიის ძირითადი კონცეფცია იყოს არა პრობლემური - ნეგატიური, არამედ პოზიტიური და მომავალზე ორიენტირებული. ჩამოთვლილი თემატური მიმართულებებიდან ასეთი გამაერთიანებელი კონცეპტუალური ჩარჩო შესაძლოა იყოს დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოს კონცეფცია და მის ქვეშ გაერთიანდეს ისეთი საკითხები, როგორცაა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება, ეკონომიკური შესაძლებლობები, ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კანონის უზენაესობა და ა.შ. ამ კონცეფციაში ასევე შესაძლებელია ისეთი საკითხის მოქცევა, როგორცაა ქვეყნის ისტორიული და კულტურული მრავალფეროვნება.

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები, შესაძლებელია წარმოჩნდეს, როგორც გამოწვევა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად დასავლური დემოკრატიისთვის და, შესაბამისად, მოექცეს ერთიანი საკომუნიკაციო კონცეფციის დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოს ფარგლებში. სწორედ „ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოს“ კონცეფცია შესაძლებელია სარგებლის მომტანი იყოს

ევროკავშირისა და ნატოსთვის, იმის გათვალისწინებით რომ დასავლეთში არის აშკარა მოლოდინი დაინახონ ევროპის სამეზობლოში განხორციელებული წარმატებული დემოკრატიული პროექტი.

ნათელია, რომ პარტნიორების დამოკიდებულებები საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიმართ განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ამიტომაც ცალსახაა, რომ უნივერსალური კამპანიური ჩარჩო ვერ მოგვცემს მოსალოდნელ შედეგს. აუცილებელია, რომ საგარეო სტრატეგიული კომუნიკაციის დიდ სტრატეგიასთან ერთად მოიცავდეს ცალკეულ აქტორებზე ან სუბიექტებზე მორგებულ ტაქტიკურ კომპონენტებსაც, რომლებიც უფრო ნიუანსური გათვლების შედეგად მოერგება პარტნიორების მოლოდინს.

## დანართი #

### რეკომენდაციები

#### დიდი სტრატეგია – მორგებული მიდგომა

- საქართველოს საგარეო კომუნიკაციების სტრატეგია უნდა განვითარდეს, როგორც დიდი სტრატეგია, რომელიც მოიცავს პარტნიორების ინტერესებსა და მოლოდინზე დაფუძნებული ინდივიდუალურ აქტორებზე მორგებულ ტაქტიკურ კომპონენტებს.

#### ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა

- ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და თანმიმდევრული სვლა ინსტიტუციური დემოკრატიისკენ უნდა განისაზღვროს საგარეო კომუნიკაციის დღის წესრიგის პრიორიტეტად, განსაკუთრებით დასავლურ სახელმწიფოებთან და ინსტიტუტებთან ურთიერთობისას.

#### წვლილი გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგში

- საქართველო უნდა გასცდეს მხოლოდ საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე ფოკუსირებას და წარმოაჩინოს, როგორც გლობალური მოთამაშე და გლობალური დღის წესრიგის ფორმირების პროცესის მონაწილე. საქართველომ უნდა მოახდინოს იმ საკითხების ადვოკატირება, რომლებიც გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგის ცენტრალურ ადგილს იკავებს, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის გაუზრცელებლობა, ენერგოუსაფრთხოება, გარემოს დაცვა, კიბერუსაფრთხოება, დეზინფორმაცია, ჰიბრიდული საფრთხეები და ა.შ.

#### წვლილი გლობალურ უსაფრთხოებაში

- რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად დაწყებულ გლობალური უსაფრთხოების სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში საქართველომ უნდა შეიტანოს თავის წვლილი, მოიპოვოს საკუთარი ნიშა და ფუნქცია საერთაშორისო უსაფრთხოების განახლებულ არქიტექტურაში.
- საქართველომ, საგარეო პოლიტიკური დოკუმენტების რევიზიის პროცესში უნდა გაითვალისწინოს არსებული გეო-პოლიტიკური ვითარება და ჩამოაყალიბოს რუსეთთან მიმართებაში განახლებული მიდგომები;
- საქართველომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების საკითხს და დააჩქაროს შავი ზღვის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით, როგორც ეს განსაზღვრულია სამთავრობო პროგრამით.

#### საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია

- საქართველომ უნდა წარმოაჩინოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროექტი არა როგორც მისი დასავლური მისწრაფებების ერთიანი პროექტი, არამედ როგორც ორი დამოუკიდებელი მიმართულება და შეიმუშაოს განსხვავებული არგუმენტები და კომუნიკაციის გზავნილები, ერთის მხრივ ნატოსა და მეორე მხრივ ევროკავშირისათვის.

- აუცილებელია ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად დადგენილი 12 პუნქტიანი წინაპირობების თვისობრივი რეალიზება, ინკლუზიურ პოლიტიკურ პროცესში.
- მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ საკუთარი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ევროკავშირის ინტეგრაციის მიმართულებით მოამზადოს და განახორციელოს ასოცირებული ტრიოს ქვეყნებთან მჭიდრო კოორდინაციით.
- აუცილებელია ევროკავშირში გაწევრიანების კუთხით ახალი ორიენტირებისა და საშუალო ვადიანი ამოცანების დასახვა, მათ შორის გაწევრიანების გეგმის მიღება და გაწევრიანების პროცესის დაწყება.
- ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ფართო ევროპული მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, საქართველომ უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის წევრი მხარდამჭერი სახელმწიფოების კონსოლიდაცია, მათთან ინტენსიური თანამშრომლობისათვის ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით;
- საგარეო კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების პროცესში საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირის მრავალგანზომილებიანი გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა და კომუნიკაციის სტრატეგიის ტაქტიკური ნაბიჯები მოარგოს თითოეული ამ განზომილებას;

### საქართველოს ნატოში ინტეგრაცია

- საქართველომ უნდა გამოიყენოს ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ახალი იმპულსები, ისარგებლოს აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობით, და ძალისხმევა მიმართოს ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის გლობალურ დღის წესრიგში საქართველოს საკითხის ინტეგრირებაზე, მათ შორის ნატოში გაწევრიანების პროცესის დაჩქარებასთან დაკავშირებით;
- საქართველომ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა და იმუშაოს სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში, სადაც დაეყრდნობა ნატოსა და ევროკავშირის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ძლიერ და გავლენიან ადვოკატირების ქსელს.

### თანამშრომლობა საფრანგეთსა და გერმანიასთან

- ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში, მათ შორის საფრანგეთსა და გერმანიასთან აუცილებელია თანამშრომლობის დღის წესრიგის გაფართოება იმგვარად, რომ იგი არა მხოლოდ საქართველოს ინტერესებში შემავალ საკითხებს მოიცავდეს, არამედ ითვალისწინებდეს საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ინტერესებსაც.

### ეკონომიკური თანამშრომლობა

- საქართველო უნდა ფოკუსირდეს აშშ-ისა და დიდი შვიდეულის ქვეყნებიდან მომდინარე ეკონომიკურ ინიციატივებზე, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მისი ამ ინიციატივებში მონაწილეობა;
- საქართველომ არა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური პოტენციალი უნდა წარმოაჩინოს პარტნიორებთან კომუნიკაციისას, არამედ გადადგას მიზანმიმართული ნაბიჯები მსხვილი დასავლური ფინანსური და ინდუსტრიული ჯგუფების მოსაზიდად, მათ შორის, კონკრეტული, ფართომასშტაბიანი რეგიონული და ტრანსნაციონალური პროექტების შეთავაზების გზით, მათ შორის საქართველოს მხრიდან შესაძლო თანაინვესტირებით.

*ქოლგა-კამპანია – ევროპული დემოკრატიული სახელმწიფო*

- საქართველომ უნდა გააერთიანოს ყველა სტრატეგიული მიზანი და ამოცანა ერთი ყოვლისმომცველი კამპანიის ფორმატში, რომელიც ფოკუსირებული იქნება პოზიტიურ სცენარებზე და ორიენტირებული იქნება მომავალსა და პროგრესზე.
- ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოს კონცეფცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ესეთ ყოვლისმომცველ კონცეპტუალურ ჩარჩოდ, რომელშიც შევა ისეთი მიმართულებები, როგორცაა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება, ეკონომიკური შესაძლებლობები, ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და ქვეყნის კულტურული და ისტორიული მრავალფეროვნების აღიარება.
- საქართველომ საკუთარი ტერიტორიების ოკუპაცია და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და ადამიანების უფლებების დაცვის გამოწვევები უნდა წარმოაჩინოს არა როგორც გამოწვევა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად დასავლური დემოკრატიული სამყაროსთვის და ეს საკითხი „ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოს“ კომუნიკაციის ერთიან კონცეფციაში მოაქციოს.
- „ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოს“ კონცეფცია შესაძლებელია სარგებლის მომტანი იყოს ევროკავშირისა და ნატოსთვის, იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთში არის აშკარა მოლოდინი დაინახონ ევროპის სამეზობლოში განხორციელებული წარმატებული დემოკრატიული პროექტი.

## ბიბლიოგრაფია

- Blockmans, S. (2021). EU-US Relations: Reinventing the Transatlantic Agenda. *Intereconomics*, 5-7.
- Interim National Security Strategic Guidance*. (2021, March 03). Retrieved from whitehouse.gov: <https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2021/03/03/interim-national-security-strategic-guidance/>
- Alarcón, A. V. (2014). *French and US Approaches to Foreign Policy*. New York: Palgrave MacMillan ALGRAVE.
- Stewart, S. (2021, May 28). Macron's Russia Policy: Already a Failure? *Stiftung Wissenschaft und Politik*, 31-34.
- Belkin, P. (2021, June 3). *NATO: Key Issues for the 117th Congress*. Retrieved from <https://crsreports.congress.gov/>: <https://crsreports.congress.gov/product/pdf/R/R46066>
- Statement by NATO Heads of State and Government*. (2022, March 24). Retrieved from nato.int: [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_193719.htm?selectedLocale=en](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_193719.htm?selectedLocale=en)
- U.S. House Passes Bipartisan Georgia Support Act*. (2019, October 23). Retrieved from civil.ge: <https://civil.ge/archives/323899>
- Georgian Prime Minister, U.S. Secretary of State Hold Phone Talk*. (2020, July 27). Retrieved from civil.ge: <https://civil.ge/archives/360552>
- Georgian FM Meets U.S. Deputy State Secretary*. (2015, November 3). Retrieved from civil.ge: <https://civil.ge/archives/125056>
- Secretary Mike Pompeo Reaffirms Strategic Partnership in Meeting PM Bakhtadze*. (2019, June 12). Retrieved from Civil.ge: <https://civil.ge/archives/308115>
- Recent Judicial Appointments in Georgia*. (2021, July 15). Retrieved from state.gov: <https://www.state.gov/recent-judicial-appointments-in-georgia/>
- Zurabishvili Meets German President, Chancellor in Berlin*. (2019, February 21). Retrieved from civil.ge: <https://civil.ge/archives/277374>
- Georgian, French Presidents Meet, Pledge to Deepen Ties*. (2019, February 19). Retrieved from civil.ge: <https://civil.ge/archives/277223>
- Jalagonia, D. (2021, 14 October). *დააფინანსებს თუ არა მთავრობა ბიუჯეტიდან გაზსაცავის პროექტს?* Retrieved from bm.ge: <https://bm.ge/ka/article/daafinansebs-tu-ara-mtavroba-biujetid-an-gazsacavis-proepts/93193>
- Germany's Foreign and European Policy Principles*. (2019, September 9). Retrieved from Federal Foreign Office: [https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/themen/policy-principles/229790#content\\_0](https://www.auswaertiges-amt.de/en/aussenpolitik/themen/policy-principles/229790#content_0)
- Kinkartz, S. (2022, February 27). German Chancellor Olaf Scholz Announces Paradigm Change in Response to Ukraine Invasion. *Deutsche Welle*.
- Emmanuel Macron in His Own Words. (2019, November 7). *The Economist*.
- Brussels Summit Communiqué*. (2021, June 14). Retrieved from www.nato.int: [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_185000.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_185000.htm)
- Chazan, G., & Seddon, M. (2022, January 31). Germany's Russia Problem: Ukraine Crisis Tests New Government. *Financial Time*.
- Duclos, M. (2020, January 16). *France's Foreign Policy Outlook 2020*. Retrieved from Institut Montaigne: <https://www.institutmontaigne.org/en/blog/frances-foreign-policy-outlook-2020>
- Flanagan, S. J., & Chindea, I. A. (2019). *Russia, NATO, and Black Sea Security Strategy: Regional Perspectives from a 2019 Workshop*. Retrieved from rand.org: [https://www.rand.org/pubs/conf\\_proceedings/CF405.html](https://www.rand.org/pubs/conf_proceedings/CF405.html)
- Helwig, Siddi. (2020). German Leadership in the Foreign and Security Policy of the European Union. *German Politics*, 29(1), 1-7.
- Kakachia, Betger, Lebanidze, Palmi, Sarjveladze. (2019). *Georgian-German Relations in the Context of Euro-Atlantic Integration – How to Align Expectations?* Tbilisi: Georgian Institute of Politics.
- Lomsadze, G. (2018, August 24). *Merkel's Visit to Tbilisi Leaves Georgians Disappointed*. Retrieved from eurasianet.org: <https://eurasianet.org/merkels-visit-to-tbilisi-leaves-georgians-disappointed>
- Mello, P. A. (2020). German Foreign Policy. In J. K. Joly, & T. Haesebrouck, *Foreign Policy Change in European Union Countries Since 1991* (pp. 155-178). Ghent: Palgrave Macmillan.
- Rapnouil, Shapiro. (2017, May 8). *Macron's Foreign Policy: Claiming the Tradition*. Retrieved from Brookings: <https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2017/05/08/macrons-foreign-policy-claiming-the-tradition/>
- Shifrinson, J. R. (2020). NATO Enlargement and US Foreign Policy: the Origins, Durability, and Impact of an Idea. *International Politics*, 342–370.
- Tertrais, B. (2017, June 19). *French Foreign Policy Under President Macron*. Retrieved from The Interpreter: <https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/french-foreign-policy-under-president-macron>

- Wintour, P. (2021, June 12). *G7 Backs Biden Infrastructure Plan to Rival China's Belt and Road Initiative*. Retrieved from The Guardian: <https://www.theguardian.com/world/2021/jun/12/g7-global-infrastructure-plan-to-rival-chinas-belt-and-road-initiative>
- Biden, J. R. (2020, March / April). *Why America Must Lead Again: Rescuing U.S. Foreign Policy After Trump*. Retrieved from [www.foreignaffairs.com](https://www.foreignaffairs.com): <https://www.foreignaffairs.com/articles/united-states/2020-01-23/why-america-must-lead-again>
- French Defense Minister Visits Georgia*. (2016, September 12). Retrieved from [civil.ge](https://civil.ge): <https://civil.ge/archives/125741>
- 1st meeting of historic French-Georgian Dimitri Amilakhvari dialogue format to be held in Paris*. (2019, December 2). Retrieved from [Agenda.ge](https://agenda.ge): <https://agenda.ge/en/news/2019/3279>
- Ministry of Foreign Affairs of Georgia. (2021). *10 years plan of actions of the Ministry of Foreign Affairs. Foreign Policy Focused on Western Values and the Country's Interests: 10-year Vision, 10 Goals*. Tbilisi.
- Cohen, R. (2020, January 29). Emmanuel Macron Walks a Fine Line on Ukraine. *The New York Times*.
- Resolution of the Parliament of Georgia on the Foreign Policy of Georgia*. (2016, December 30). Retrieved from [Parliament.ge](https://parliament.ge): <https://parliament.ge/media/news/resolution-of-the-parliament-of-georgia-on-the-foreign-policy-of-georgia>
- Germany, France Encourage Georgia Continue Democratic Reforms*. (2020, December 12). Retrieved from [civil.ge](https://civil.ge): <https://civil.ge/archives/386996>
- Mitchell, E. (2021, October 18). *US Extends Security Pact with Georgia for Six Years*. Retrieved from The Hill: <https://thehill.com/policy/defense/577297-us-extends-security-pact-with-georgia-for-six-years/>
- National Security Concept of Georgia*. (2011, February 23). Retrieved from The National Security Council: <https://nsc.gov.ge/en/CONCEPTUAL-DOCUMENTS/National-Security-Concept>
- Government of Georgia. (2020, December). *Government Program 2020-2024 Toward Building a European State*. Retrieved from [gov.ge](https://www.gov.ge): [https://www.gov.ge/files/41\\_78149\\_280277\\_GP.pdf](https://www.gov.ge/files/41_78149_280277_GP.pdf)
- Government of Georgia. (2019, March 28). *The 2019-2022 Foreign Policy Strategy of Georgia*. Retrieved from [mfa.gov.ge](https://mfa.gov.ge): <https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>
- Eastern Partnership Summit*. (2021, December 15). Retrieved from [consilium.europa.eu](https://www.consilium.europa.eu): <https://www.consilium.europa.eu/en/meetings/international-summit/2021/12/15/>